ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 15 ოქტომბერი, 2019 №244 (8198) ფასი: 60 თეთრი

## გიორგი კეპულაძე: „თურქეთის პროცესები საქართველოს ეკონომიკაზე იმოქმედებს“

კახა გოგოლაშვილი: „თუ თურქეთს სანქციები დაუწესეს, არ უნდა შევუერთდეთ, თუმცა დასავლეთთან კონსულტაციები მოგვიწევს“



გვ.3

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დედამა

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# უნდა დავიჭიროთ თუ არა „ოცნების“ წევრები?

რაში ვერ თანხმდებიან სააკაშვილი და ბოკერია



გვ.2

## კალაძე ივანიშვილს არ უყვარს, მაგრამ ხელს ვერ ჰკიდებს

თორნიკე შარაშენიძე: „კალაძე მკვეთრ მოძრაობებს ერიდება, ძლიერი პოლიტიკური გუნდიც არ ჰყავს. მდინარაძეს ძლიერ ფიგურად ვერ განვიხილავ“


გვ.2


გვ.2

## თორნიკე მამალაძე ბიძინა ივანიშვილის სახლთან აქციებს იწყებს

„ივანიშვილი არის ჩემი ძმის დაპატიმრების ბრძანების გამცემი“

## „გახარია იგორ გიორგაძეს, შოთა კვირაიასა და ვარდიკო ნადიბაიძეს მახსენებს“


გვ.3

დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილს აწყობს კონფრონტაციის გაღრმავება“

## „სალომე ზურაბიშვილის დაკითხვის უფლება პროკურატურას არ აქვს“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „დაკითხვაზე მისვლა პრეზიდენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული“


გვ.3

სამართალი გვ.5



## ადვოკატი კობაიძე: „დავით მუმლაძის მკვლელობა ცნობილმა ბიზნესმენმა შეუკვეთა“



## ზვიად კუპრავას განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა




## სექსუალური მანიაკი თბილისში

ვინ არის 23 წლის მამაკაცი, რომელიც გოგონების გაუპატიურებას ცდილობდა



5 „ბავშვი სახლში მოდიოდა, როცა სწვდა ყელზე, პირზე ხელი ააფარა და გაუპატიურება ცადა“



4 **აფხაზურ ენას გაქრობა ემუქრება**

ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზური და ოსური მხარეები რუსეთის პოზიციას სრულად არ ეთანხმებიან“



6 **სირია: ქურთებმა თურქეთის წინააღმდეგ დახმარება ასადს სთხოვეს**



7 **ევროპის ჩემპიონატის საგზური პოლონეთმა და რუსეთმაც მოიპოვეს**

ISSN 1987-9385

9 771987 938006

# უნდა დავიჭიროთ თუ არა „ოცნების“ წევრები?

## რაში ვერ თანხმდებიან სააკაშვილი და ბოკერია

გიგა ბოკერიას განცხადებას, რომ ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში ქვეყანაში არ უნდა დაიწყოს პოლიტიკური ოპონენტების დევნა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

– ძალიან ცუდია წინასწარ დასაჭერი ხალხის სიების შედგენა და „ევროპულ საქართველოს“ და ჩვენს პარტნიორებს ასეთი სია არ გვაქვს. რაც შეეხება პოლიტიკურ ფიგურებს, აქ დევნა, სანამ არ ჩამოაყალიბებენ დამოუკიდებელ სასამართლოს, არის სახიფათო, რომ ისევ იმავე წრეზე წახვალ, რომ ახალი ხელისუფლება წინას ასამართლებს, თან მათი უფლებების დარღვევით იმიტომ, რომ პოლიტიკური მოტივაციაა და ამას უნდა დავუსვათ წერტილი.

ამიტომ ამოცანა არის დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნა და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება რეალურად შესაძლებელი მართლმსაჯულების და კანონის უზენაესობის განხორციელება პოლიტიკურ ოპონენტებთან მიმართებაში. მართლა სამწუხაროა, რომ მიხეილ სააკაშვილი ემსგავსება ივანიშვილს ასავალ-დასავალს და იქცევა ისე, როგორც მას ექცეოდნენ ეს ადამიანები, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ამის საპასუხოდ სააკაშვილმა გუშინ, 14 ოქტომბერს, ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც თქვა, რომ დღეს მოქმედი მთავრობის მაღალჩინოსნები, რომლებსაც დანაშაული დაუმტკიცდებათ, საერთაშორისო ანტიკორუფციული სასამართლოს მიერ უნდა გასამართლდნენ.





– ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ის სიველურე, როცა მოდის ერთი მთავრობა და იწყებს ნებისმიერი საბაბით წინა მთავრობის დევნას, მაგრამ არსებობს რაღაც სხვა რეალობები. ივანიშვილმა მიითვისა ეროვნული დოვლათის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, ამგვარად საუბარი იმაზე, რომ ეს უნდა შერჩეს არ არის სწორი, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამის წაღება?!

ეს უნდა მოხდეს საერთაშორისო ანტიკორუფციული სასამართლოს მიერ, სადაც ჩვენ მოვიწვევთ რამდენიმე ინგლისელ, ამერიკელ, ჰოლანდიელ და სხვა დასავლელ მოსამართლეს და ისინი ძალიან ზედმიწევნით, იურიდიული პროცედურის შედეგად, თუ დაუმტკიცდებათ ყველაფერი, მოახდენენ ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების საკითხების გარკვევას, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე განმარტებით, წინასწარ იმის თქმა, რომ ყველას ყველაფერი შერჩება, მეტი დანაშაულის ჩადენისკენ ბიძგია.

– დღეს წინასწარ იმის გამოცხადება, რომ ყველას ყველაფერი შერჩება, ნიშნავს, რომ ვეუბნებით, მოიპარეთ, რაც შეიძლება მეტი და შეგრჩებათ ხახვით. თუ მთავრობა არ შეიცვლება, ხომ შეგრჩებათ და თუ შეიცვალა, მაინც შეგრჩებათ.

იმ პოლიტიკოსებს მინდა ვკითხო, ვინც ამას ამბობს, თქვენ რომ გაეძარცვეთ, თქვენს ქონებას რომ შეხებოდნენ, იგივე იქნებოდა თქვენი რეაქცია?! მაშინ ხალხის დოვლათმა და ქონებამ რა დააშავა?!

მე ვფიქრობ, აქ არის საუბარი საერთაშორისო პროცედურებზე, არის საუბარი ყოველგვარი მიკერძოებულობის გამორიცხვაზე და, რა თქმა უნდა, საქართველოში შეიცვლება მთავრობა, რა თქმა უნდა, უნდა ვიყოთ მიმართული ეროვნულ ერთიანობაზე, უნდა მოვიშუშოთ ეს იარა, რომელიც ივანიშვილმა მიაყენა საქართველოს ქვეყნის დაყოფით, მაგრამ ყველაფერი უნდა იყოს სამართლიანობის პრინციპზე და საერთაშორისო ნორმებზე დაფუძნებით და შემდეგ უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებები პოლიტიკური გადაწყვეტილებებია და იქაც ჩვენ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად მიმტევებლები – აი, ასეთია ჩემი პოზიცია, – დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

# თორნიკე მამალაძე ბიძინა ივანიშვილის სახლთან აქციებს იწყებს

## „ივანიშვილი არის ჩემი ძმის დაპატიმრების ბრძანების გამცემი“

ნონა ცაბაძე



გიორგი მამალაძის ძმა, თორნიკე მამალაძე, დღეს ივანიშვილის სახლთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **თორნიკე მამალაძეს** ესაუბრა.

***– თორნიკე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დღეიდან ივანიშვილის სახლთან აქციებს იწყებთ. რა იქნება თქვენი მოთხოვნა და რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?***

– ვიკრიბებით რუსთაველზე და მსვლელობით გავალთ ბიძინა ივანიშვილის სახლთან. ბიძინა ივანიშვილი არის ჩემი ძმის დაპატიმრების ბრძანების გამცემი. ის დღესაც საპატრიარქოსთან შეთანხმებით არ ათავისუფლებს ჩემს ძმას. ამიტომაც გადავწყვიტე, ბიძინა ივანიშვილის სახლთან ავიდე და შევახსენო კიდევ ერთხელ, რომ ის არის ადამიანი, რომელმაც ბევრჯერ ჩვენს ქვეყანას მოუტანა დიდი უბედურება და მრავალი ოჯახი გააუბედურა.

მე მივმართავ ყველა იმ ოჯახს, ადამიანს, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი შეეხო, ვისი ოჯახიც გაანადგურა, რომ შემოგვიერთდეს და ერთხელ და სამუდამოდ მოვახერხოთ ამ ადამიანის გაძევება ჩვენი ქვეყნიდან.

***– როგორც ცნობილია, მძიმეა თქვენი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა.***

**„დეკანოზს საპატრიარქოს შესახებ სკანდალური ინფორმაციები აქვს“**

– დიახ, მძიმეა. ის არის პარალიზებული. „ემპათიამ“ დაიწყო უკვე ექსპერტიზის ჩატარება. რამდენიმე დღეში დაიდება დასკვნა, რომელიც მალე გახდება საჯარო, ყველა იმ დასკვნასთან ერთად, რომლებიც დღემდე დადებულა. დაველოდოთ და რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, რეალურად რა სჭირს ჩემს ძმას და სად შეიძლება მისი მკურნალობა.

***– როდესაც ასეთი სკანდალური შეწყალებები ხდება პრეზიდენტის მიერ, რატომ არ შეიწყალეს გიორგი მამალაძე?***

– გიორგი მამალაძე არ შეიწყალეს საპატრიარქოს დაჟინებული მოთხოვნით და ბიძინა ივანიშვილმა ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ივანიშვილს საპატრიარქომ აღუთქვა 2020 წლის არჩევნებზე სრული მხარდაჭერა, თუ გაათავისუფლებდნენ ჩემს ძმას, რაზეც ბიძინა ივანიშვილი დათანხმდა.

***– საპატრიარქო რატომ არის თქვენი ძმის გათავისუფლების წინააღმდეგი?***

– საპატრიარქო წინააღმდეგია, რადგან ჩემი ძმა ფლობს ინფორმაციებს, რომელთა გასაჯაროება საპატრიარქოს კატეგორიულად არ სურს, რადგანაც ამ მტკიცებულებების გასაჯაროების შემთხვევაში მთელი საქართველო დაინახავს, თუ რა ხდება რეალურად საპატრიარქოში.

***– ასეთი რა ინფორმაციებია?***

– მე დაველოდები სინოდის სხდომას, მოვითხოვე ამ სხდომაზე დაბარება და დასწრება. თუ არ დამიბარებენ წმინდა სინოდზე, მეორე დღესვე აუცილებლად საჯაროს გავხდი ყველა იმ ინფორმაციას, რომლებსაც ჩემი ძმა ფლობს.

***– სკანდალურია ეს ინფორმაციები?***

– რა თქმა უნდა, სკანდალურია. ვხედავთ, რომ ადამიანს ამ ინფორმაციების გამო რეალურად ანადგურებენ. ლოგიკურადაც რომ ვიმსჯელოთ და რომც არ ვიცოდე, ეს ინფორმაციები სკანდალურია, ზედმეტად სკანდალურიც კი.

***– ეს აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს?***

– დიახ, ეს აქციები არ იქნება ერთჯერადი. თავიდან ყოველდღიურ რეჟიმში არ გვექნება, მაგრამ მალე გადავიყვანთ ყოველდღიურ რეჟიმში. რუსთაველზე მარტო არ ვარ, იქ იმყოფება მალხაზ მაჩალიკაშვილი, რომელსაც უდანაშაულო 19 წლის შვილი მოუკლეს, ასევე იქ არიან ირაკლი ოქრუაშვილისა და სხვა პოლიტპატიმრების მხარდამჭერები.

დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი შემოგვიერთდება და ერთობლივად შევძლებთ, მივაღწიოთ სამართლიანობას. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სიმართლე ჩვენ მხარესაა.

შევახსენებთ ბიძინა ივანიშვილს, რომ მას ჩემი ძმის სახით უდანაშაულო ადამიანი ჰყავს გამოკეტილი. ჩვენ ვიწყებთ იმ ადამიანების გაერთიანებას, რომელთა ახლობელიც, ოჯახის წევრიც, ბიძინას პირადი პატიმარია და მისგან უსამართლოდ დასჯილი. რუსთაველზე ძალიან ბევრ ხალხს ველოდებით.

# კალაძე ივანიშვილს არ უყვარს, მაგრამ ხელს ვერ ჰკიდებს

## თორნიკე შარაშენიძე: „კალაძე მკვეთრ მოძრაობებს ერიდება, ძლიერი პოლიტიკური გუნდიც არ ჰყავს. მდინარაძეს ძლიერ ფიგურად ვერ განვიხილავ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, ოპოზიციურ ფლანგზე ახალი ტენდენციები გამოიკვეთა. ბოლო დღეებია, სააკაშვილი და ბოკერია ერთმანეთს ეჯიბრებიან ღმერთის სიყვარულში. რა ხდება, რა კამპანია წამოიწყეს?***

– მარტივი ახსნა აქვს ამ ყველაფერს. არჩევნებზე ვინც დადის, ის დადის ეკლესიაშიც, შესაბამისად, მათი გულის მოგება საჭიროა, თორემ ახლა ის, რომ ორივე დავარდა ქადაგად, ბოკერიაც და სააკაშვილიც, ცოტა ძნელი დასაჯერებელია.

***– ანუ ეს არის წინასაარჩევნო კამპანიის, ტექნოლოგიის ნაწილი?***

– რა თქმა უნდა, აბა რა არის. არჩევნების წინ ყველაფერი მოსულა. მე რასაც ვუყურებ, ახალი თაობა უფრო ნაკლებად დადის ეკლესიაში, თუმცა მათ ხმებისთვის ძველი თაობის მხარდაჭერა სჭირდებათ. ამიტომ, პოლიტიკაში თუ ხარ, მოდაშია, რომ უნდა იარო ეკლესიაში, უნდა დაიჩოქო ხატებთან და სანთელი დაანთო, რომ ხალხმა დაგინახოს, აი, რა კარგი კაცია, ეკლესიურია.

***– ადრე არ ანიჭებდა ამ თემას უპირატესობას ლიბერალური ფრთა. ახლა რა შეიცვალა?***

– გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, აი, ეს არის სულ.

***– რა სიახლეები, რა ტენდენციები იკვეთება პოლიტიკურ ველზე? ჯერჯერობით არ ჩანს მესამე ძალა გამოკვეთილად.***

– მე მესამე ძალის გამოჩენის პერსპექტივასაც ვერ ვხედავ, ვერ აღვიქვამ ასეთად ხაზარაძეს, მით უმეტეს, სახეზეა მისი აშკარა პოლიტიკური გამოუცდელობა, არცთუ დადებითია მისი იმიჯი, გამომდინარე იქიდან, რომ ის ბანკირია და ბანკირები ჩვენს ქვეყანაში არ უყვართ და მესამე, მისი გუნდი, ცოტა არ იყოს, არ არის ჩემთვის მაინცდამაინც სერიოზული. ის მესამე ძალად ვერ ჩამოყალიბდება. მე მე ვხედავ სერიოზულ განაცხადს მისი მხრიდან.

***– რა შეეშალა, რა ვერ გათვალა, გარდა იმისა, რომ არ არის პოლიტიკოსი?***

– პირველი, რომ ის არ არის პოლიტიკოსი, ასევე არ ჰყავს გვერდით სერიოზული გამოცდილების მქონე არავინ. ერთია, წარმატებას მიაღწიო საბანკო სფეროში, მით უმეტეს, როდესაც ფანტასტიკური საწყისი პოზიციები გაქვს 90-იანი წლებიდან გამომდინარე. იმიტომ, რომ მას ჰქონდა სერიოზული პრივილეგია, შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული და გასაგებია, რომ ამ სფეროში მიაღწია წარმატებას, მაგრამ სულ სხვაა, გამოვარდე ველზე, რომელიც ძალიან მძიმეა, გაკრეფილია ეს ველი თავიდან ბოლომდე და მოინდომო მესამეძალობა. მესამეძალობა რომ ასე იოლი იყოს, აქამდე სხვა მოახერხებდა.

***– საკმაოდ დიდი სეგმენტია საზოგადოების, დაახლოებით 50%, რომელიც არც ერთ ძალას არ უჭერს მხარს. ალბათ არ არის მარტივი, გახდე საზოგადოების ამხელა ნაწილის ლიდერი.***



– რასაკვირველია, არ არის. დღეს ადამიანებში ნდობის მოპოვება ძალიან რთულია. ეს არის იმედგაცრუებული საზოგადოება და ამ ფონზე ნდობის მოპოვება რთულია, მით უმეტეს რთულია მესამე ძალის გამოჩენა, როდესაც საზოგადოების უდიდეს ნაწილში არის პესიმიზმი პოლიტიკის მიმართ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნორმალურ, სუფთა ადამიანებს პოლიტიკაში წასვლა ელემენტარულად არ უნდათ. როდესაც ხედავენ, რა კოშმარი ტრიალებს იქ, არ ულირთ.

***– რომ არა ხაზარაძის დაბარება პროკურატურაში, რომ არ ყოფილიყო სასამართლო პროცესები, უკეთესი იქნებოდა ხაზარაძის იმიჯი, მოიპოვებდა უფრო სერიოზულ მხარდაჭერას საზოგადოების მხრიდან?***

– არა მგონია. მე ვერ ვხედავ მასში დიდი პოლიტიკოსის მონაცემებს. ამ ეტაპზე ეს არ ჩანს. რეიტინგი ძალიან დაბალი აქვს, შეფასებები – უარყოფითი, ცნობადობა – დაბალი, განსაკუთრებით – რეგიონებში. შესაბამისად, ეს ყველაფერი არ არის ასე მარტივი. ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლამდე ქველმოქმედის იმიჯი შეიქმნა. ეს გადასარევად მოახერხა, შემოვიდა უზარმაზარი ფულით და შემოიკრიბა მთელი ოპოზიცია გარშემო. ხაზარაძეს ამ სამიდან არც ერთი არა აქვს. დიდი ფულიც არა აქვს, როგორც მე ვუყურებ, მით უმეტეს, ანგარიშების დიდი ნაწილი დაუყადაღეს.

***– ანუ მისი მცდელობა ფუჭად ჩაივლის თუ მცირე ძალით შევა პარლამენტში?***

– ნულოვანი ბარიერის პირობებში თვითონ შევა ალბათ და დაჯდება პარლამენტში. შესაძლოა, სწორედ ეს უნდა.

***– ეს აკმაყოფილებს, ასე მცირედით შემოიფარგლება?***

– არ ვიცი, მას რა ამბიციები აქვს. თუ, უბრალოდ, სურვილი აქვს, რომ გადარჩეს, გადაირჩინოს თავი, როგორც ბიზნესმენმა და ამიტომ აკეთებს ამ ყველაფერს, მაშინ ეს არასერიოზულია. თუ პოლიტიკას ჩამოეხსნება, მგონი, მას არავინ არ დაიჭერს, თუ უცხოეთში წავა, მშვენივრად იცხოვრებს, თუ გადარჩენის ამბიცია აქვს, არ ვიცი, ამის ძალა რამდენად შესწევს. ჯერჯერობით რასაც ის გვთავაზობს, ძალიან არასერიოზულია.

***– რას იტყვით დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრზე? ახალი არავინ ჩანს, კვლავ ძველებმა უნდა გადაინაწილონ პარლამენტი?***

– არაფერს ვიტყვი, რადგან ამ ფრონტზე საინტერესო არაფერი ხდება.

***– კოალიცია თუ ისევ „ოცნების“ მმართველობა, რას მივიღებთ?***

– კოალიცია ფორმალურად. ისეთ პარტიებთან, როგორებიც არის ძიძიგურის კონსერვატორები, ჟორჟოლიანის სოცდემოკრატები, სწორედ ისეთ პარტიებთან, რომლებმაც დაადასტურეს ამ 8 წლის განმავლობაში ბიძინას ერთგულება.

***– ესენი დღესაც მასთან არიან.***

– ფორმალურად გავლენ, ცალკე იყრის კენჭს ძიძიგური, ცალკე – ჟორჟოლიანი, მისცემენ რესურსებსაც და ფულსაც, ტელევიზიებში დაუთმობენ დროს და ორ კაცს თუ გაიყვანს თითოეული, გავა „ოცნება“, შემდეგ ამ ორ პარტიასთან ერთად შექმნის კოალიციურ მთავრობას და ვაშა, გაიმარჯვა ევროპულმა დემოკრატიამ.

***– სერიოზული იმედგაცრუებაა საზოგადოებაში. როგორ უნდა მოიგოს „ოცნებამ“ ამომრჩევლის გული, ისევ ხახვითა და კარტოფილით?***

– „ოცნება“ ფიქრობს, რომ თუ გაჭრა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მეოთხედაც გაჭრის. თუმცა, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს არის „ოცნება“ და, შესაძლოა, რაღაც აუფეთქდეთ ხელში, როგორც უკვე აუფეთქდათ ერთი-ორჯერ. მე ახლა უფრო ოპოზიციისკენ ვიყურები და მათკენ ვხედავ სერიოზულ პრობლემებს. ოპოზიციის დიდი ნაწილი საერთოდ მოწყვეტილია ხალხს.

***– გარდა ამისა, სერიოზული დაპირისპირება აქვთ ერთმანეთში, ვერ შეძლეს ერთად ყოფნა.***

– შიგნითაც აქვთ სერიოზული წინააღმდეგობები და ნამდვილად არ არის სპექტაკლი ბოკერიასა და სააკაშვილის დაპირისპირება, როგორც დღემდე ბევრს ჰგონია. მე პრობლემას იმაში ვხედავ, რომ მათი დიდი ნაწილი ხალხს საერთოდ მოწყვეტილია. ელემენტარულად, განძრევა ეზარებათ, არ უნდათ კომფორტის ზონიდან გამოსვლა.

***– ფული არ აქვთ?***

– ფული არ უნდა იმას, რომ ადგე გაინძრე, შეხვდე მოსახლეობას, გაიგო, რა უჭირს, რა პრობლემები აქვს. მაგის ფული ნამდვილად აქვთ, რომ იმოგზაურონ და ხალხს შეხვდნენ. მათი ძირითადი ლოზუნგები მიდის რაზე, აი, როგორ დავამარცხოთ ივანიშვილი, ვის შევეკრათ, ვის არ შევეკრათ, დასავლური ორიენტაცია გვაქვს და ამით დამთავრდა ყველაფერი. კონკრეტულად ხალხს რა სჭირდება ან რა პრობლემები აქვთ, არავინ ეკითხება. მაგალითად,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია იგორ გიორგაძეს, შოთა კვირაიასა და ვარდიკო ნადიბაიძეს მახსენებს“

## დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილს აწყობს კონფრონტაციის გაღრმავება“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერ **დავით ბერძენიშვილს.**

***– 20-21 ივნისის ღამით განვითარებული მოვლენების 71 მონაწილეა დაზარალებულად ცნობილი. აქედან 67 პოლიციელია. რამდენად ადეკვატურია პროკურატურის ეს გადაწყვეტილება?***

– ნორმალური ხელისუფლების პირობებში ეს იქნებოდა სრულიად არაადეკვატური გადაწყვეტილება. ჩვენ სხვა სიტუაცია გვაქვს – როგორი არაადეკვატურიც არის ხელისუფლება, ისეთივეა ეს გადაწყვეტილება.

იმ ღამეს უამრავი ადამიანი დაშავდა, ზოგმა მხედველობა დაკარგა. ეს ხალხი არ არის დაზარალებულად ცნობილი. ამ ხელისუფლებას სისულელეებიც ჩაუდენია, მაგრამ ეს სისულელე არ არის.

***– გამიზნული ქმედებაა?***

– ეს შეგნებულად კეთდება. ივანიშვილს აწყობს კონფრონტაციის გაღრმავება და დაძაბულობის ზრდა. წინასაარჩევნოდ ის კიდევ უფრო მეტად ეცდება, წარმოაჩინოს მტრად ყველა, ვინც მასთან არ არის. ივანიშვილი სააკაშვილის ბანაკში მოაქცევს ოპონენტებს. როგორც ვატყობ, ამ ქვაბში მოხარშავს ხაზარაძესაც.

***– „გავრილოვის ღამეს“ და ამ მოვლენების შემდეგ რუსთაველზე დიდი დროის განმავლობაში გრძელდებოდა საპროტესტო აქციები. ახალგაზრდებმა, რომლებიც მის ბირთვს წარმოადგენდნენ, შექმნეს მოძრაობა „ქვეყნის სამსახურში“. ეს მოძრაობა რეგიონებში დადის. ეს ადამიანები საზოგადოების დიდ ნაწილში იმედს აჩენენ. მათი პოლიტიკაში მოსვლა შესაძლებელია?***

– მე ვისაც კარგად ვიცნობ ამ ახალგაზრდებიდან, ისინი პოლიტიკაში მოსვლას არ აპირებენ. მათ უნდათ, დაკავდნენ პროფესიით და მას შეუთავსონ სამოქალაქო აქტივისტობა. ამ ახალგაზრდა კვალიფიციურმა და აქტიურმა ადამიანებმა შემოიტანეს სიახლე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

***– რას გულისხმობთ?***

**„ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკური მოტივებითაა დაკავებული. ჩვენ ყველამ ამაზე ხშირად უნდა ვილაპარაკოთ“**

– ბოლო 30 წლის განმავლობაში ახალგაზრდები მეტ-ნაკლებად იყვნენ ჩართული პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ისინი წარმოადგენდნენ პარტიებს, ესენი კი დამოუკიდებლად მოქმედებენ.

***– ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლება ქვეყანას რუსული ორბიტისკენ აბრუნებს.***

– 30 წელია, ჩვენთან არის არჩევანი დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთს შორის. შევარდნაძე ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორე მხარეს. დეკლარირებულად ჩრდილოეთისკენ ვერც ეს ხელისუფლება იქნება. ივანიშვილი კომპასს გადააადგილებს ხოლმე. როცა უჭირს, მიმართავს რეპრესიებსა და პროპაგანდას და ათბობს ურთიერთობას რუსეთთან. რაც უფრო შორდება ესა თუ ის ხელისუფალი დემოკრატიას, მით უფრო უახლოვდება რუსეთს.

***– 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ ამ მხრივ არაფერი შეცვლილა?***

– გაღრმავდა ხელისუფლების აგრესია და ცინიზმი. ეს გამოიხატა გიორგი გახარიას ფაქტორშიც, რომელიც იმ მოვლენების დროს შს მინისტრი იყო.

გახარია მახსენებს ადრინდელ ძალოვნებს – იგორ გიორგაძეს, შოთა კვირაიასა და ვარდიკო ნადიბაიძეს. 90-იან წლებში ისინი იყვნენ რუსეთის მიერ დანიშნული მინისტრები.

დღევანდელ საქართველოში კიდევ ერთი მოვლენის მოწმეები ვართ. ის დაკავშირებულია ივანიშვილის ოჯახთან და ბიზნესთან – იარაღიან უწყებებში ივანიშვილის გარემოცვა და „ქართუს“ ყოფილი თანამშრომლები მოვიდნენ ხელმძღვანელებად სუს-ში, შსს-ში, თავდაცვაში.

ივანიშვილი დაეყრდნო ვეზირობაში გამოცდილ პერსონალიებს. ისინი, ერთი მხრივ, გააკონტროლებენ გახარიას, მეორე მხრივ, გახარიასთან ერთად დააშინებენ საზოგადოებას.

***– პოლიტიკოსების მიმართ რეპრესიები კიდევ მოსალოდნელია? ციხეში ზის ირაკლი ოქრუაშვილი. საზოგადოებამ ვერ გაიგო, რისთვის.***



– კარგია, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ახსენეთ. ის პოლიტიკური მოტივებით არის დაკავებული. ჩვენ ყველამ ამაზე ხშირად უნდა ვილაპარაკოთ. არა აქვს მნიშვნელობა, ვიზიარებთ თუ არა ოქრუაშვილის შეხედულებებს. ფაქტია, რომ ის პოლიტიკური მიზეზებით დააკავეს, ისევე, როგორც სხვა ადამიანები, რომლებიც პოლიტიკოსები არ არიან. მათგან მხოლოდ ორი გამოუშვეს გირაოთი. დანარჩენები, ისევე, როგორც ოქრუაშვილი, რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ.

საქმეა აღძრული ნიკა მელიაზე, რომელსაც გადაადგილება შეუზღუდეს, ასევე ნიკა გვარამიაზე, მამუკა ხაზარაძეზე, ტვ პირველის დამფუძნებლის მამაზე, ავთანდილ წერეთელზე.

პროპაგანდა და რეპრესიები ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. ხელისუფლება უტევს პოლიტიკოსებსაც, მედიასაც და სამოქალაქო აქტივისტებსაც.

# გიორგი კეპულაძე: „თურქეთის პროცესები საქართველოს ეკონომიკაზე იმოქმედებს“

## კახა გოგოლაშვილი: „თუ თურქეთს სანქციები დაუწესეს, არ უნდა შევუერთდეთ, თუმცა დასავლეთთან კონსულტაციები მოგვიწევს“

იაგო ნაცვლიშვილი

თურქეთმა სირიის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რის წინააღმდეგიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო, რაც ორი ქვეყნის დაპირისპირების საფუძველი გახდა. თურქეთს აკრიტიკებს ევროკავშირიც. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ შესაძლოა, თურქეთს აშშ-მ ეკონომიკური სანქციები დაუწესოს, რომელსაც შეუერთდებიან ევროკავშირის ქვეყნებიც.

რა როლი აქვს ამ პროცესში საქართველოს და რამდენად აისახება ის საქართველოზეც, მაშინ როდესაც აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო თურქეთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი და კარგი მეზობელი? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში **კახა გოგოლაშვილსა** და ეკონომიკურ ექსპერტ **გიორგი კეპულაძეს** ესაუბრა.

„ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი **კახა გოგოლაშვილი** ამბობს, რომ საქართველომ თურქეთის კრიტიკისგან თავი უნდა შეიკავოს, თორემ გამოვა, რომ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს უჭერს მხარს, თუმცა საქართველოს დიპლომატიურ დონეზე კონსულტაციების წარმართვა მოუწევს ევროკავშირის ქვეყნებთან და აშშ-თან.

***– მოგეხსენებათ, დაძაბული ვითარებაა აშშ-თურქეთს შორის და, სავარაუდოდ, აშშ დაუწესებს ეკონომიკურ სანქციებს თურქეთს. აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო თურქეთი – კარგი მეზობელი. ამ ვითარებაში რა უნდა გააკეთოს საქართველომ იმისთვის, რომ არც ერთთან არ გაიფუჭოს ურთიერთობა?***

– რა თქმა უნდა, საქართველო ალბათ თავს შეიკავებს განცხადებებისგან. თურქეთი გააკრიტიკა ევროკავშირმაც და, შესაძლოა, სანქციები მანაც დაუწესოს, ასევე, შესაძლოა, სანქციები დაუწესოს აშშ-მ, მაგრამ ეს არ იქნება იმ ტიპის სანქცია, რომელთან შეუერთებლობაც გამოიწვევს რამე შედეგებს ჩვენთვის.

შესაძლოა, ამერიკამ დაუწესოს სავაჭრო სანქცია კონკრეტულ მიმართულებებზე, მაგალითად, სამხედრო შეიარაღებაზე, მაღალ ტექნოლოგიებსა და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, ისეთ სავაჭრო თმებზე, რომლებთანაც ჩვენ არ გვაქვს შეხება, ამიტომ არ იქნება სავალდებულო ჩვენი მხრიდან ამ სანქციებზე შეერთება.



კახა გოგოლაშვილი

***– ანუ ნეიტრალური პოზიციაა ყველაზე გამართლებული საქართველოს მხრიდან?***

– ამ შემთხვევაში ნეიტრალურზე საუბარი არ არის, უბრალოდ, მოგვიწევს მკვეთრი კრიტიკისგან თავის შეკავება. ამას ყველა გაგებით მოეკიდება, იმიტომ, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის გარკვეული იზოლაცია რომ მოხდეს, მაშინ ეს ჩვენი ეკონომიკისთვის დამანგრეველი იქნება და პრაქტიკულად სანქციები ჩვენ მიმართ უფრო იქნება, ვიდრე თურქეთის მიმართ.

***– ანუ გამოვა, რომ საკუთარ თავს ვუწესებთ სანქციებს?***

– დიახ, ასე გამოდის, იმიტომ, რომ თურქეთი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია. თუ ქვეყნებზე ვსაუბრობთ, სწორედ თურქეთია ჩვენი უდიდესი სავაჭრო პარტნიორი. ამას გარდა, თურქეთი არის ჩვენი ხიდი ევროპის გზაზე. თურქეთთან ურთიერთობის გაფუჭება ძალიან ცუდი იქნება. ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თურქული ინვესტიციები. თურქეთთან ურთიერთობის იმგვარად გაფუჭება, რომ ამან გამოიწვიოს ჩვენი დაზარალება, ძალიან დიდი შეცდომა იქნება. ამიტომ ალბათ მოგვიწევს პარტნიორებთან კონსულტაციების წარმართვა იმისათვის, რომ მათაც იცოდნენ, ჩვენ ვერ გადავდგამთ მკვეთრ ნაბიჯებს.

რუსეთს ვერ დავუწესეთ სანქციები ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით, ვერ შევუერთდით რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს, თან, მით უმეტეს, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიის 20%. ამიტომ ამას მით უფრო ვერ გავაკეთებთ თურქეთის მიმართ. თურქეთთან ბევრად უკეთესი ურთიერთობები გვაქვს ჩამოყალიბებული და გზა გაცილებით უფრო გვჭირდება თურქეთთან, ვიდრე რუსეთთან.

***– მსუბუქი კრიტიკა მაინც მოგვიწევს?***

– მთავრობის დონეზე ალბათ – არა, მაგრამ საზოგადოების დონეზე – კი. საზოგადოება გააკრიტიკებს. შეუძლებელია, არ გააკრიტიკო, მით უმეტეს, რომ იმ ზონებში, სადაც ახლა ოკუპაცია ხდება, ადამიანის უფლებები უკვე ირღვევა და ზოგიერთი ადამიანი დახვრიტეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია მოდის, რომ სამოქალაქო მოსახლეობასაც არ უფრთხილდებიან სათანადოდ.

დაახლოებით ის სიტუაციაა, როდესაც რუსეთმა მოახდინა ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია. რუსეთი არ აწარმოებდა ეთნიკურ წმენდას, მაგრამ აძლევდა საშუალებას ოსებს, თვითონ ეწარმოებინა, ანუ იგივე სიტუაციაა ახლა. სირიული პროთურქული ქვედანაყოფები ავიწროებენ ქურთულ მოსახლეობას იმ რეგიონებში. ამაზე საერთაშორისო საზოგადოება თვალს ვერ დახუჭავს და ჩვენთანაც სამოქალაქო საზოგადოება ვერ დახუჭავს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „სალომე ზურაბიშვილის დაკითხვის უფლება პროკურატურას არ აქვს“

## ავთანდილ დემეტრაშვილი: „დაკითხვაზე მისვლა პრეზიდენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტსა და მის უფლებამოსილებაზე საუბრობს.

***– ბატონო ავთანდილ, პრეზიდენტი ზურაბიშვილი ჟურნალისტების კითხვაზე, იყო თუ არა პროკურატურაში, პასუხობს – არა, და რატომ უნდა ვიყო? შეწყალების საქმე როგორ შეიძლება გაგრძელდეს?***

– შეწყალების უფლება პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, რომელიც არანაირი კანონმდებლობით არ არის შეზღუდული. თუ გნებავთ, აბსოლუტური უფლება დავარქვათ. თუმცა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა ეს ძალაუფლება ბოროტად არ უნდა გამოიყენოს. რაც შეეხება დაკითხვას, პრეზიდენტი ხელშეუხებელია, დაუშვებელია მისი დაკავება, დაკითხვა.

***– დაკითხვაც?***

– დიახ, დაკითხვაც, სანამ იგი თანამდებობაზეა. მხოლოდ მისი უფლებაა, დათანხმდება თუ არა დაკითხვას. ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც იმპიჩმენტის პროცედურა იწყება, ზუსტად იგივე სიტუაციაა. პრეზიდენტს შეუძლია, დაეთანხმოს და განმარტებები მისცეს და ასევე შეუძლია, არ დაეთანხმოს.

ამიტომ მისი განმარტება, რომ ის არ არის ვალდებული, პროკურატურაში მივიდეს, აბსოლუტურად სწორია. ერთადერთი შესაძლებლობა, როდესაც პრეზიდენტი იკითხება, იმ შემთხვევაშია, თუ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია ან სხვა დანაშაული ჩაიდინა. ამ შემთხვევაში იმპიჩმენტის წესით შეიძლება, პრეზიდენტი გადააყენო თანამდებობიდან და, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, დაიბარო პროკურატურაში



და დაკითხო.

***– დღეს პრეზიდენტი ხელშეუხებელია და, შესაბამისად, ვერც პროკურატურა დაიბარებს და ვერც დაკითხავს?***

– დიახ, პროკურატურა პრეზიდენტს ვერ დაიბარებს და ვერც დაკითხავს ამ კონკრეტული უფლებამოსილების განხორციელების გამო.

***– თუ შეწყალების საქმეში დანაშაული გამოიკვეთება?***

– ეს სხვა შემთხვევაა. თუ დანაშაული გამოიკვეთება კონკრეტულად პრეზიდენტის მხრიდან, მაშინ იწყება იმპიჩმენტის პროცედურა. კონსტიტუცია ამბობს, რომ პრეზიდენტი ხელშეუხებელია, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იმპიჩმენტის პროცედურა იწყება. კონსტიტუციაში ეს ყველაფერი კარგად, ერთმნიშვნელოვნად არის განმარტებული.

***– პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი ანგარიშვალდებულებას უნდა გრძნობდეს თუ არა თავისი ამომრჩევლის წინაშე, როდესაც ძალიან მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი?***

– რადგან ხალხის მიერ არის არჩეული, ე.ი. ნდობა გამოუცხადა ხალხმა მას. შესაბამისად, ის ამბობს, რომ ყველას პრეზიდენტია. პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი ძალიან მაღალი ლეგიტიმაციის მატარებელია.

მისი განმარტებები დამაჯერებელი არ არის. ხალხის პრეზიდენტი ვარო, რომ ამბობს, დიახ, მართალია, მაგრამ ეს მისი განცხადებებიდანაც, მისი ქცევიდანაც უნდა ჩანდეს. ყველას პრეზიდენტია, ვინც მას მისცა ხმა და ვინც მის წინააღმდეგ მისცა ხმა. სწორედ ამიტომ ნათლად უნდა თქვას, რომ ის ამ ნდობის ფარგლებში მოქმედებს, როდესაც თავის დისკრეციულ უფლებამოსილებას ახორციელებს.

***– ელოდით, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები მის ამ გადაწყვეტილებას გაემიჯნებოდნენ? სალომე ზურაბიშვილს არ მოუწონეს ეს გადაწყვეტილება და ეს ღიად დააფიქსირეს კახა კალაძემ, თეა წულუკიანმა, არჩილ თალაკვაძემ.***

– ალბათ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით გააკეთეს მათ ეს განცხადებები. კახა კალაძე დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურაა და მას შეუძლია, ასეთი აზრი გამოთქვას, თუმცა, არა მგონია, ეს გუნდის პოზიცია იყოს. ეს ალბათ უფრო მათი პირადი პოზიციაა, ვიდრე „ქართული ოცნების“ გუნდის.

გამოძიება მიმდინარეობს ფაქტზე და არა პრეზიდენტის წინააღმდეგ. მე მაინც არა მგონია, რომ მისი ქმედების დაწუნება უკიდურესობამდე მივიდეს და იმპიჩმენტის პროცედურის ამოქმედება მოინდომოს „ქართულმა ოცნებამ“, თან, ნუ დაგავიწყდებათ, 2020 წელი მოდის. არჩევნების შედეგად კოალიციური მთავრობა შეიქმნება. მაშინ პრეზიდენტი როგორი იქნება, ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება, „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ პრეზიდენტი თვითნებობას დაიწყებს.

***– კოალიციური მთავრობის დროს პრეზიდენტის როლი და ფუნქცია იცვლება?***

– ეს სალომე ზურაბიშვილზეა დამოკიდებული. მთავრობის ფორმირებაში მისი როლი ფორმალურია, ყველაფერი ძალთა კონფიგურაციაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პოლიტიკური ძალთა თანაფარდობა შეიქმნება, მაგრამ პრეზიდენტს აქვს უფლება, ხალხს მიმართოს. პრეზიდენტს აქვს უფლება, მიმართოს პარლამენტს. არავინ ზღუდავს მის უფლებას, რომ დაიწუნოს შექმნილი მთავრობა, ანუ მას საზოგადოებრივი აზრის შექმნა შეუძლია.

რატომ არ იყენებს ამ უფლებამოსილებას და როდის გამოიყენებს, ეს მას უნდა ვკითხოთ. მისი მოწინააღმდეგე გრიგოლ ვაშაძე კვირაში ერთხელ პრესკონფერენციებს გამართავდა და თავის აზრს გამოთქვამდა სახელმწიფო საქმიანობის თაობაზე. პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია, რატომ ავიწყდება ეს?!

ასევე, მას აქვს ვეტოს უფლება, რომელზეც პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა კი თქვა, ვეტომდებელი არ ვიქნებიო, მაგრამ ვეტო ხომ იდეაა, თუ როგორი უნდა იყოს კანონი. არ მესმის, რატომ უნდა თქვას უარი პარლამენტისთვის იდეების მიწოდებაზე?!

ეს უფლება მას აქვს და შეუძლია, გამოიყენოს კიდეც.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# აფხაზურ ენას გაქრობა ემუქრება

## ვახტანგ ყოლბაია: „აფხაზური და ოსური მხარეები რუსეთის პოზიციას სრულად არ ეთანხმებიან“

გულიკო ბალაძე



რა კეთდება ჟენევის ფორმატში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთთან კონფლიქტების მოსაგვარებლად? როგორ იქცევიან კულუარებში აფხაზების წარმომადგენლები? რა სივრცეა და რა ერთობლივი პროექტების განხორციელება იგეგმებოდა ჟენევაში შეხვედრების დროს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე **ვახტანგ ყოლბაია** ესაუბრა, რომელიც ჟენევის წინა მოლაპარაკებებში ქართულ დელეგაციას წარმოადგენდა.

***– ბატონო ვახტანგ, თქვენ ჟენევის მოლაპარაკებებში აღარ მონაწილეობთ, მაგრამ იცით, ზოგადად, რა ხდება იქ? ახლა ჟენევის ფორმატში რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებაში ახალი ფიგურაა ჩართული. რას უნდა ველოდოთ?***

– ჩვენ ჟენევა უნდა აღვიქვათ, როგორც მოლაპარაკების მოედანი, სადაც მხარეები ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ პოზიციებს. იქ სხვა არაფერი ახალი არ ხდება.

***– იმ მოლაპარაკებების დროს რაღაც შუალედებში ადამიანური საუბრები მიმდინარეობს, იმავე, ვთქვათ, რუსეთის ან კიდევ სეპარატისტული ჯგუფების წარმომადგენლებთან?***

– კი, შეიძლება კულუარებში საუბარი და ადამიანურ დონეზე რაღაცის გარკვევა. კულუარებში უფრო გულახდილი ურთიერთობებია, ვიდრე ოფიციალურ მაგიდასთან. ეს არის ჟენევის ფორმატის სიძლიერე და პლუსები.

***– ალბათ აფხაზებსა და ოსებს ურჩევნიათ იმ მდგომარეობაში ყოფნა, რომელშიც იმყოფებიან, მაგრამ რუსეთის ზეწოლასაც ხომ განიცდიან? შეიძლება, კულუარებში გაიგო, ვთქვათ, აფხაზებისა და ოსების ნამდვილი პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე?***

– კულუარებში იმის საშუალება არის, გაიგო, აფხაზური და ოსური მხარეები რეალურად რას ფიქრობენ, თუმცა პირდაპირ უნდა ვთქვათ, ისე არ არის, კარდინალურად რომ არ ეთანხმებოდეს რუსეთის ოფიციალურ პოზიციას, თუმცა ყველა შემთხვევაში კულუარები რადიკალურად განსხვავდება ოფიციალურ მაგიდასთან დაფიქსირებული პოზიციისაგან, მაგრამ რუსებთან დაკავშირებით ეს არ იგრძნობა. მე ვსაუბრობ აფხაზებზე.

***– თქვენ რამდენიმე ხნის განმავლობაში მონაწილეობდით მოლაპარაკებებში. რომელიმე წარმომადგენელს დაუმეგობრდით?***

– დიახ, მეც და დელეგაციის სხვა წევრებსაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ზოგიერთ მონაწილესთან. გვარების დასახელება არ მინდა. შეიძლება, ისინი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თუმცა ჩემი მდგომარეობა უფრო განსხვავებული იყო.

***– როგორი?***

– იქ იყვნენ ჩემი მეგობრების შვილები, ახალგაზრდები, რომელთა მშობლებთან კარგი, მეგობრული ურთიერთობები მქონდა. ამან კარგი სამსახური გამიწია, რადგან მაინც ცდილობდნენ... აფხაზურ-ქართულ სამყაროში ურთიერთობებში არის ტრადიციული დამოკიდებულება – უფროსისადმი მოკრძალება. ეს მე და მათ შორის განსაკუთრებულ განწყობას ქმნიდა.

მოლაპარაკებებზე ჩემი მეგობრების შვილები იცვლებოდნენ, შემდეგ ახლები ჩამოვიდნენ, რომლებთანაც ისეთი ახლო ურთიერთობა აღარ მქონდა, როგორიც ჩემი მეგობრის შვილებთან.

***– თქვენი ბავშვობის მეგობრები შეგხვედრიან ან შეგხმიანებიან, თუნდაც შვილების მეშვეობით მათგან მოკითხვა მიგიღიათ?***

– მე იქ ბავშვობის მეგობრები არ მყავდა. მათ ცოტა გვიან შევუერთდი. მოზრდილი ვიყავი, როცა სამსახურიდან გამომდინარე აფხაზი მეგობრები გავიჩინე. რა თქმა უნდა, ის ურთიერთობა დარჩა. მათთან კონტაქტში რომ შევედი, უკვე 1976-77 წლების დაძაბულობა იყო, თუ გახსოვთ.

***– დიახ.***

– იმ პერიოდიდან ვარ აფხაზებთან კონტაქტში. მერე დაძაბულობა შერბილდა, 10-წლიანი პაუზა იყო. 1989 წელს სერიოზული დაპირისპირება მოხდა, რასაც მოჰყვა ომი და დაძაბული პროცესები, რაც იყო შემდგომ წლებში.

***– ამის გამო თქვენს მეგობრებთან გაუგებრობა გქონდათ?***

– ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ურთიერთობებში გაუგებრობა იყო. ჩვენ ხელმძღვანელები ვიყავით, გარკვეული თანამდებობები გვქონდა. ურთიერთობები მაინც ლაგდებოდა. ვცდილობდით, ხელმძღვანელებს მეტი დაძაბულობა არ შეგვეტანა საერთო სამოქალაქო დაპირისპირებაში, თუმცა ჩემს წინამორბედებს, გუდაუთისა და გალის ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ურთიერთობები ჰქონდათ. ერთ პერიოდში ასეთი გამონათქვამი იყო: გუდაუთა არის პოლიტიკა, გალი კი – ეკონომიკა. გალი და გუდაუთა ქმნიდნენ აფხაზეთის პოლიტეკონომიას. იყო განსაკუთრებული მომენტები, რომლებიც განაპირობებდა არა მარტო აფხაზეთში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობებს.

კონსტანტინე ოზგანი და ნებისმიერი ხელმძღვანელი თბილისში რომ ჩამოდიოდნენ, აქ ძალიან კარგად ხვდებოდნენ, შეხვედრები და საუბრები იმართებოდა. კონსტანტინე ოზგანი შესანიშნავად მეტყველებდა ქართულად. კაკო ყაჩაღს ისე სხაპა-სხუპით იტყოდა, ბევრ ქართველს გაუჭირდებოდა მასთან შეჯიბრება ლექსის თქმაში.

ისინი 50-იან წლებში ნასწავლი ქართულით საუბრობდნენ. მათ ქართულად ლაპარაკის გამო არც რცხვენოდათ და არც ეშინოდათ, ამასთან ერთად, ხაზს უსვამდნენ, თითქოს იმ პერიოდში აფხაზური ენა აკრძალული იყო.

***– ახლა როგორ არიან, როდესაც აფხაზური ენა თითქოს აკრძალული არ არის, მაგრამ, რეალურად, მე-4 კლასის შემდეგ აფხაზურს არ ასწავლიან?***

– ახლა თვითონ აფხაზები ხვდებიან, რომ აფხაზურ ენას გაქრობა ემუქრება. აფხაზი მეცნიერების დაკვირვებით, აფხაზური ენა არის ერთ-ერთი იმ ენათა შორის, რომლებსაც გაქრობა ემუქრებათ. ამას აფხაზები გრძნობენ, ვითომ ზომებს იღებენ, მაგრამ, პრაქტიკულად, ეს ზომები განუხორციელებელია.

***– თუ ზომებს იღებენ, განუხორციელებელი რატომ არის?***

– განუხორციელებელია, რადგან გარემო, რომელშიც აფხაზური ენა უნდა განვითარდეს, რუსულენოვანია. მოსახლეობა რუსულენოვანია, საქმის წარმოება რუსულ ენაზეა. აფხაზურ ენაზე არავინ ლაპარაკობს. სოფლებში არის დარჩენილი მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც აფხაზურ ენაზე ლაპარაკობს, ცდილობენ, ერთ-ორ ბაღში ბავშვები აფხაზურ ენაზე ალაპარაკონ.

***– გალში ქართულსაც ხომ ზღუდავენ?***

– დიახ, გალში და, ზოგადად, აფხაზეთში ქართული ენაც იზღუდება.

***– ე.წ. პოლიტეკონომია დღეს როგორ მოქმედებს? დღეს გუდაუთისა და გალის ურთიერთდამოკიდებულება რა ფაზაშია?***

– მიუხედავად ყველაფრისა, განსაკუთრებით ომის შემდგომ გალის ეკონომიკა აფხაზეთისთვის ერთ-ერთი მასაზრდოებელი იყო. უტყუარი ინფორმაციები მქონდა, რომ გაგრიდან დაწყებული, გუდაუთის ჩათვლით, მთელი აფხაზეთი გალის ბაზარზე სურსათის შესაძენად დადიოდა.

გალის რაიონში ხალხიც მეტი იყო დარჩენილი და გალის მოსახლეობა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, მოსავალი მოჰყავდათ და არა მარტო გუდაუთისა და გაგრის მიმართულებით გაჰქონდათ, არამედ აქეთ, ზუგდიდშიც გამოჰქონდათ, სტუდენტებს ზრდიდნენ.

იქითა მხარე მაინც საკურორტო ზონად ითვლებოდა. ამიტომ აფხაზეთის ძირითადი ბეღელი მაინც ოჩამჩირე და გალის რაიონი იყო. ოჩამჩირე, პრაქტიკულად, განადგურდა, გალის რაიონი კი აფხაზეთის ბაზისად შემორჩა.

***– 25-წლიანი უშედეგო ე.წ. მოლაპარაკებები ჟენევაში...***

– უფრო კონსულტაციებია, ვიდრე მოლაპარაკებები.

***– და იგივე ვითარება კონფლიქტი მოგვარების კუთხით. დამოკიდებულებებიც იგივეა?***

– ჟენევა არ არის ის ადგილი, სადაც შეიძლება, მოგვარდეს კონფლიქტი, როგორც ასეთი. კონფლიქტის მოგვარების ძიება-მოძიება ხდება სხვა ფორმატით, სხვა გარემოში, სხვა მონაწილეთა ჯგუფით.

ჟენევაში არის ნდობის აღდგენის მომენტები, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დარეგულირების მცდელობა ერთობლივად პატარა პროექტებით. ეს იქნება სოფლის მეურნეობა, საარქივო და ისტორიული მიმართულებებით. ჟენევაში კონფლიქტის მოგვარების პროცესის ხელშემწყობი რაღაც პროექტების დაგეგმვის მცდელობაა. ჩემამდეც ხორციელდებოდა პატარა პროექტები.

***– დევნილთა დაბრუნების გარდა, არის კიდევ დევნილთა შეშვება თავისი წინაპრების, ახლობლების საფლავებზე. ამ საკითხზეც ტოვებდნენ მოლაპარაკებას?***

– ეს საკითხი გამოკვეთილად არ იდგა. ჩვენ ამ საკითხს, ზოგადად, დიდი ხანი ვსვამდით, მაგრამ დადებითი შედეგი არასოდეს მოჰყოლია. ჟენევის პროცესში დღევანდელი მდგომარეობით ჩიხური სიტუაციაა.

***– ამერიკისა და ევროკავშირის როლი მოიკოჭლებს ამ პროცესში?***

– ვერ ვიტყვი, რომ მოიკოჭლებს. ყველას თავისი ინტერესები აქვს. როცა დარჩებათ დრო, მერე უბრუნდებიან. ეს კონფლიქტები იმდენად ფეთქებადსაშიშია, რომ დიდ რეგიონს შეიძლება შეუქმნას პრობლემა.

# გიორგი კეპულაძე: „თურქეთის პროცესები საქართველოს ეკონომიკაზე იმოქმედებს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თვალს. იქნება თურქეთის კრიტიკა, მაგრამ მთავრობას ძალიან გაუჭირდება ღიად შეფასების გაკეთება ამ საკითხში.

***– როცა კონსულტაციებს გულისხმობთ, იმას უსვამთ ხაზს, რომ საჭირო გახდება დიპლომატიის გააქტიურება და მეტი ახსნა, ჩვენი არგუმენტაციის წარდგენა დასავლეთისთვის?***

– რა თქმა უნდა. საჭიროა დიპლომატიური ურთიერთობის გაძლიერება ევროპასთანაც და ამერიკასთანაც, რათა საქართველოზე არ იყოს დიდი პრესინგი, არ იყოს მომართვა, ღიად მოახდინეთ თურქეთზე ზეწოლაო. ჩვენი ზეწოლა თურქეთზე ჩვენთვისვე ძალიან დამაზიანებელი აღმოჩნდება. არა მგონია, ეს მოგვთხოვონ როგორც ევროპულმა სახელმწიფოებმა, ისე ამერიკამ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ მაინც დაგვჭირდება დიპლომატიური კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციის „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე **გიორგი კეპულაძის** აზრით, რა როლი ექნება თურქეთის პროცესებს საქართველოზე, რთული სათქმელია, თუმცა ეს საქართველოზე გავლენას არ მოახდენსო, ვერ ვიტყვით. კეპულაძე აცხადებს, რომ თუ თურქეთის მიმართ სანქციები ამოქმედდება, ეს ლირის ვარდნას გამოიწვევს და გავლენას მოახდენს ლარზეც, მაგრამ გატარებული ცვლილებების გამო აღარ იქნება იმდენად მტკივნეული, როგორც აქამდე ხდებოდა ხოლმე.

***– აშშ თურქეთისთვის სანქციების დაწესებას გეგმავს. რამდენად მომზადებული ხვდება საქართველო ამ პროცესს და რა არის მოსალოდნელი ინვესტიციების, ლარის კურსისა თუ ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით?***

– საქართველო არის ღია ეკონომიკის ტიპის ქვეყანა. შესაბამისად, მის სავაჭრო პარტნიორებში ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები, რა თქმა უნდა, ზეგავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკურ პროცესზე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს სავაჭრო პარტნიორებზე – ერთ ან ორ ქვეყანაზე დამოკიდებული არ ვიყოთ, იქნება ეს რუსეთი, თურქეთი თუ აზერბაიჯანი. მთავარი მეხამრიდი ანუ ჩვენი მთავარი დამცველი ამ შემთხვევაში უნდა იყოს დივერსიფიცირება.


გიორგი კეპულაძე

რაც შეეხება თურქეთის მიმართ შესაძლო ამერიკულ სანქციებს, იმედს ვიტოვებ, რომ ეს ორი დიდი ქვეყანა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები შეთანხმდებიან და ამას მოჰყვება თურქეთის წინააღმდეგ ამერიკის მხრიდან ფინანსური სანქციები, თუმცა, რა თქმა უნდა, თურქეთის ეკონომიკის დაზიანება საქართველოს ეკონომიკასაც დააზიანებს. არ არის გამორიცხული ლირის გაუფასურება, რასაც, შესაძლოა, შემდეგ უკვე ლარის გაუფასურება მოჰყვეს.

თუმცა პროგნოზების გაკეთება წინასწარ რთულია. ჯერ მოცემულობა არ გვაქვს და ძნელია განჭვრიტო, რა მოხდება. იმის თქმა, რომ ეს არ იმოქმედებს საქართველოზე, ტყუილია. აუცილებლად იმოქმედებს თურქეთში მიმდინარე პროცესები საქართველოზე, როგორც დადებითი, ასევე – უარყოფითი.

ეს, პრინციპში, პროგნოზში უნდა გვქონდეს გათვალისწინებული როგორც მთავრობის ეკონომიკის გუნდს, ასევე ეროვნულ ბანკს. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებისა და ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯების შემდეგ საკმაოდ მნიშვნელოვანი ბარიერები შეიქმნა დამატებითი პრობლემების გაჩენის თვალსაზრისით, ანუ ის, რაც ეროვნულმა ბანკმა გააკეთა, რეალურად შედეგს მოგვცემს ერთ ან ორ კვარტალში და ამ პერიოდში დამატებით ინფლაციურ ზეწოლას აღარ უნდა ველოდოთ წლის ბოლომდე. შესაძლოა, იყოს ინფლაცია, მაგრამ უკონტროლო პროცესი არ იქნება.

***– ანუ ეროვნულმა ბანკმა სწორი ნაბიჯები გადადგა და ისეთი მტკივნეული აღარ იქნება, როგორიც აქამდე იყო ხოლმე?***

– დიახ. მოგეხსენებათ, ლარის კურსს ახასიათებდა სეზონურობა, როდესაც ოქტომბრიდან მოლოდინების გამო ლარი უფასურდებოდა, თუმცა ამ ეტაპზე ეს სახეზე აღარ გვაქვს, საბედნიეროდ. ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ცვლილებებითა და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით ბიზნესს სიგნალი გაუგზავნა, რომ ის აკონტროლებს სიტუაციას.

***– თუმცა მანამდე იყო გაუფასურება და გაზაფხული-ზაფხულის პერიოდი გამყარებით არ იყო გამორჩეული.***

– კი, მაგრამ ეს სხვადასხვა მიზეზის ბრალი იყო. ერთ-ერთი იყო ტურისტთა ნაკადის შემცირება და ის ნეგატიური და პესიმისტური გზავნილები, რომლებსაც მთავრობა 20 ივნისის მოვლენების შემდეგ უშვებდა როგორც საზოგადოებაში, ისე ბიზნესის წარმომადგენლებთან. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ თურქული ლირა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში და, იმედია, ლირის კურსის ვარდნა არ იქნება, აშშ-თურქეთს შორის დაძაბულობა ცივილიზებულად გადაწყდება და არ დაწესდება ეკონომიკური სანქციები.

***– ანუ ამბობთ, რომ თუ სანქციები იქნება, მაშინ სახეზე იქნება კრიტიკული ვითარება, მაგრამ არა ისეთი მტკივნეული, როგორიც ადრე იყო ხოლმე?***

– იმედს ვიტოვებ, რომ ასე იქნება. ძალიან რთულია პროგნოზირება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თურქეთს ბევრი აქვს დასაკარგი და, სავარაუდოა, რომ აშშ-თან დაძაბულობა იქნება მოკლეხნიანი, აშშ-საც ბევრი აქვს დასაკარგი და ამიტომ, მე ვფიქრობ, ეს საკითხები პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას იქონიებს და მალე გადაწყდება.

# კალაძე ივანიშვილს არ უყვარს, მაგრამ ხელს ვერ ჰკიდებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კახელს უნდა, რომ კარგ ფასად გაყიდოს თავისი ყურძენი, გორელ გლეხს ვაშლის გაყიდვა უნდა. ამაზე გლეხებს არავინ ესაუბრება. რა, ეს ხალხი არ არის მათი ამომრჩეველი?! თუ ხალხში არ გახვედი, მათ არ მოუსმინე, მარტო ეთერში ჩხუბითა და ლანძღვა-გინებით რა გამოვა. ბოკერია-სააკაშვილის ჩხუბი მათ არაფერს მოუტანს.

***– მათმა დაპირისპირებამ რამდენად დააზარალა ოპოზიცია?***

– რა თქმა უნდა, სერიოზულად აზარალებს. გაერთიანება ყოველთვის კარგი ტონია, ვიდრე ერთმანეთის ლანძღვა-გინება. კი ბატონო, შესაძლოა, ამ სტრატეგიამ უფრო გაამართლოს, რომ რადგან ნულოვანი ბარიერია, გავიდეთ ცალ-ცალკე და შიგნით გავერთიანდეთ, მაგრამ ამისთვის რა საჭიროა, ერთმანეთი ლანძღონ. ეს ყველაფერი დადგმულს აღარ ჰგავს.

***– რატომ დაეტაკნენ ერთმანეთს, რა ვერ გაიყვეს?***

– ორივე მხარე თვლის, რომ მეორე მხარეს არის ცუდი ნეგატივი. ბოკერია თვლის, რომ სააკაშვილის მხარეს არის მეტი ნეგატივი და ის მაქსიმალურად ცდილობს, მოახდინოს დისტანცირება სააკაშვილისგან, ხოლო მეორე მხარე თვლის, რომ ბოკერიას მხარეს არის ნეგატივი და, თუ ბოკერიას გალანძღავენ, მაშინ მეტი მხარდამჭერი ეყოლებათ. პლუს ამას, ბოკერიას აწებებენ იარლიყს, რომ ის მოღალატეა და ივანიშვილს შეეკრა.

***– სინამდვილეში ორივე ზარალდება?***

– დიახ. ნამდვილად არ არის საჭირო ამდენი ლანძღვა-გინება.

***– საბოლოოდ რას მივიღებთ 2020-ისთვის?***

– მოკლედ რომ შევაფასოთ, ეს ყველაფერი „ოცნებაზეა“ დამოკიდებული. „ოცნება“ თუ ჩაიდენს ერთ კარგ სისულელეს, როგორიც მას სჩვევია, წააგებს არჩევნებს, ხოლო თუ არ ჩაიდენს და ამ სიტუაციით მივალთ არჩევნებამდე, მაშინ „ოცნებას“ გამარჯვების მშვენიერი შანსი აქვს. გვინდა თუ არ გვინდა, ასეა.

***– რა უნდა მოხდეს, რა უნდა აუფეთქდეს „ოცნებას“, რომ შეიცვალოს სიტუაცია?***

– ეგენი ხომ ასეთი აფეთქებების იმპროვიზატორები არიან. დაველოდოთ. 20 ივნისის მსგავსი აფეთქება „ოცნებას“ დაასრულებს. მათ კრიზისმენეჯმენტი ძალიან უჭირთ. მართალია, გახარია ლიდერია, ვიდრე ბახტაძე, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

***– გახარიასთან ბევრი ვერ „ძოვს“ საკუთარი მთავრობის წევრებიდან. იმავე კალაძისა და მის დაპირისპირებაზეც ბევრს საუბრობენ.***

– კალაძე, როგორც ვიცი, მაინცდამაინც არც ბატონ ბიძინას უყვარს. ვნახოთ, აქ რა მოხდება. არჩეული მერია და ასე მარტივად ვერ მოაშორებენ.

***– შესაძლოა, კალაძემ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს?***

– კალაძე ამ ეტაპზე მკვეთრ მოძრაობებს ერიდება, იცის, რომ პრობლემები შეექმნება, ძლიერი პოლიტიკური გუნდიც არ ჰყავს. მდინარაძეს ვერ განვიხილავ ძლიერ ფიგურად.

***– ზარდიაშვილის ბედს ხომ არ გაიზიარებენ სხვებიც?***

– თუ ასე მოხდა, ეს ნიშნავს იმას, რომ კალაძეს სერიოზულად მიადგნენ და შეარყიეს. მხოლოდ ზარდიაშვილის წასვლა ამის ნიშანი ვერ იქნება, ხოლო თუ სხვებსაც მიადგნენ მისი გუნდიდან, ე.ი. კალაძეს უტევენ. ეს კალაძის შესუსტება იქნება.

# ადვოკატი კობაიძე: „დავით მუმლაძის მკვლელობა ცნობილმა ბიზნესმენმა შეუკვეთა“

ვინ დაუკვეთა დავით მუმლაძის, იმავე ზურა დადეშელის, მკვლელობა? – დანაშაულთან, რომელშიც, კრიმინალური სამყაროს წევრების გარდა, მოქმედი პოლიციელები ფიგურირებენ, ერთი ბიზნესმენის კავშირიც იკვეთება.

აღნიშნულ ინფორმაციას გეთაშვილების ოჯახი ავრცელებს.

ბრალდებულ გიორგი გეთაშვილის ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე კურიერთან განმარტავს, რომ თავდაპირველი ვერსია, რომლის მიხედვითაც, დავით მუმლაძე მოკლული იქნა ესპანეთში მყოფი ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენლების დაკვეთის შედეგად, არ შეესაბამება სიმართლეს.

მისივე თქმით, დავით მუმლაძის მკვლელობა ერთ-ერთმა გავლენიანმა ბიზნესმენმა შეუკვეთა.

– დანაშაულის მოტივი უკავშირდება საქართველოში მცხოვრებ ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა გარდაცვლილთან. ფიზიკური შეხებაც კი ჰქონდა გარდაცვლილს მასთან და შურისძიების მიზნით, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ჩაიდინა ეს შემზარავი დანაშაული და დაუკვეთა მუმლაძის ლიკვიდაცია.

ეს ბიზნესმენი ძალიან გავლენიანია. შესაძლებელია, მას ჰყავდეს კონკრეტული ადამიანები, მეგობართა წრე ძალოვან სტრუქტურებში, რომელსაც არ სურს, რომ რაიმე ფორმით კვალი გავიდეს მასთან, – აღნიშნა ადვოკატმა.

გამოძიების მტკიცებით, სწორედ გეთაშვილი იყო პირი, რომელმაც დავით მუმლაძე მოტყუებით სახლიდან გამოიყვანა.

გიორგი გეთაშვილის მეუღლე ლელა გეთაშვილი კურიერთან საქმის ახალ გარემოებებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ საქმეში ასევე შსს-ს გავლენიანი თანამშრომელი მონაწილეობს, რომელმაც გამოძიების ობიექტურ ჩატარებას ხელი შეუშალა.

## ლელა გეთაშვილი: „საქმეში შსს-ს მაღალჩინოსანიც ფიგურირებს“



მისი თქმით, როგორც დავით მუმლაძე, ასევე გიორგი გეთაშვილი პოლიციელების მხრიდან შანტაჟისა და ზეწოლის გზით იქნენ გატაცებული.

– გიორგიმ რამდენიმე დღის შემდეგ, რომ ვერ მოძებნა კონკრეტული პიროვნება, თუ ვისთვის შეიძლებოდა დახმარება ეთხოვა, შეხვდა თავის მეგობარს, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ ამ ეტაპზე.

გიორგიმ მას დახმარება და რჩევა ჰკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო. მან მიიღო პასუხი, რომ გაჩერებულიყო და ის მოაგვარებდა ყველაფერს. საბოლოო ჯამში, დავდექით ფაქტის წინაშე, რომ გიორგი როცა დააკავეს თბილისში და გადაიყვანეს რუსთავში, იქ დახვდა ეს პიროვნება, რუსთავის მთავარ სამმართველოში. გიორგის დაემუქრნენ, რომ თუ ხმას ამოიღებდა, მასაც მოკლავდნენ, – აღნიშნა ლელა გეთაშვილმა.

ბრალდებულის ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ მკვლელობის რეალური მიზეზი პროკურატურის ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებულია.

***

საქმეზე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით დაკავებულმა მოქმედმა და ყოფილმა პოლიციელებმა, მუმლაძის გატაცების სანაცვლოდ, თანხა მიიღეს.

ამის შესახებ ისინი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში თავად საუბრობენ, რასაც გაზეთი „კვირის პალიტრა“ ექსკლუზიურად აქვეყნებს.

საუბარია 4.000 ლარზე, რომელიც თითოეულ პოლიციელს მკვლელობისთვის ბრალდებულმა გაუგზავნა.

ერთ-ერთი დაკავებული, 38 წლის პოლიციელი დავით მიროტაძეა, რომელიც ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად მუშაობდა და, ამასთან, მკვლელობაში ბრალდებულ ზურაბ ჯღარკავას ნათესავია.

მიროტაძის ჩვენების თანახმად, ჯღარკავა მასთან დახმარების თხოვნით მივიდა და უთხრა, რომ მუმლაძე მას და მის ოჯახს მოკვლით ემუქრებოდა. მისი ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ დავით მუმლაძის გატაცება მიროტაძემ მოქმედ და ყოფილ პოლიციელებთან ერთად დაგეგმა.

– 1 ოქტომბერს დილით ჩემს სახლთან მოვიდა დიტო დულაშვილი შავი ფერის ბმვ-ს მარკის ავტომანქანით და გავემართეთ სასაფლაოების მიმართულებით. იქ გააჩერა მანქანა, მოვხსენით სანომრე ნიშნები და დავუყენეთ ე.წ. ტრანზიტული სანომრე ნიშნები. მიხეილ ღებიანურს სახლში მივაკითხეთ. ისიც ჩაგვიჯდა მანქანაში და წავედით თბილისისკენ. სამივეს გვეცვა პოლიციის ფორმა.

თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე გავჩერდით და იქ მოვიდა გეთაშვილი თეთრი ბმვ იქს 6-ით, გვერდით გიორგი ასათიანი ეჯდა. მე, გეთაშვილმა და ასათიანმა ვისაუბრეთ, როგორ უნდა მოგვეხდინა მუმლაძის შეპყრობა, განიარაღება და შემდგომ რუსთავში წაყვანა, – ამბობს ჩვენებაში მიროტაძე.

მისივე ჩვენების თანახმად, მუმლაძე მათ მუხიანში შეიპყრეს, მაკაროვის სისტემის იარაღი წაართვეს, ხელბორკილები დაადეს და რუსთავში წაიყვანეს, სადაც ზურაბ ჯღარკავას და გიორგი ასათიანს გადასცეს.

ამის შემდეგ, მიროტაძის ინფორმაციით, მან და მისმა მეგობრებმა მუმლაძის იარაღი, მობილური ტელეფონი და ტრანზიტული ნომრები, რომლებიც მანქანას დაუყენეს, მტკვარში გადააგდეს.

– მომდევნო დღეს, საღამოს შევხვდი დიტო დულაშვილს და მივეცი 4.000 ლარი... 4.000 ვაჩუქე ღებიანურს. ჩემი სიძე პერიოდულად მჩუქნის ხოლმე გარკვეული რაოდენობის თანხებს და ეს თანხაც მან მაჩუქა.

ბიჭებს წინასწარ თანხას არ შევპირებივარ. 4 ოქტომბერს მიხეილ ღებიანურს გავუჩერე მანქანა, ამ დროს გამოიარა ჩემმა სიძემ და ვკითხეთ, თუ რა ბედი ეწია მუმლაძეს, მან გვითხრა, ის უკვე აღარ არსებობსო...“, – ამბობს ჩვენებაში დავით მიროტაძე.

„კვირის პალიტრა“ კიდევ ერთი პოლიციელის, ღებიანურის ჩვენებასაც აქვეყნებს, რომელიც ყვება, რომ აღებული თანხით ვალები გადაიხადა და პროდუქტი იყიდა.

– 4.000 ლარიდან 1.600 ლარი ვალი გავისტუმრე. 900 ლარით დავფარე მინიკრედიტის ვალდებულება, 900 ლარი ასევე გადავიხადე „ლიბერთი ბანკში“, 200 ლარი ვალი დავუბრუნე ჩემს მეგობარ ლევანს. რაც შეეხება 200 ლარს, ვიყიდე სურსათი..., – ამბობს მიხეილ ღებიანური.

# ზვიად კუპრავას განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

სასამართლოს უპატივცემულობის ფაქტზე მსჯავრდებულ ზვიად კუპრავას საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.



აღნიშნულის შესახებ ინტერპრესნიუსს კუპრავას ადვოკატმა ედუარდ მარიკაშვილმა განუცხადა.

როგორც მარიკაშვილი განმარტავს, კუპრავას საჩივარი სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა.

– ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის საშუალებას სააპელაციო სასამართლოს კანონი აძლევდა, თუმცა, ვთვლი, რომ სასამართლომ თავიდან აირიდა დამატებითი ხმაური.

სასამართლო სწორად არ მოიქცა, ვინაიდან ჩვენი პოზიციის ზეპირად დაფიქსირების საშუალება არ მოგვცა. საქმე პრეცედენტულია, აქამდე მსგავსი საქმე სასამართლოს არ განუხილავს, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, სასამართლოს ჩვენი განმარტებები მოესმინა და ისე მიეღო გადაწყვეტილება.

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს მიდგომა გააგრძელა, რომ სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნებას რეპრესიები სჭირდება თუნდაც, შეურაცხმყოფელი განცხადებების გამო, რომლებიც სასამართლოს სხდომის დარბაზში არ ყოფილა გამოთქმული.

სასამართლოს ავტორიტეტის დამტკიცებას რეპრესიები კი არ სჭირდება, სასამართლოს ავტორიტეტს განამტკიცებდა ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების სადარაჯოზე იქნებოდა.

სასამართლო სამოტივაციო ნაწილში უთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ხელყოფს სასამართლოს ავტორიტეტს, მორალურ ზიანს აყენებს დაზარალებულს და აკნინებს საზოგადოების თვალში სასამართლო განხილვის აღმზრდელობითი ხასიათის მნიშვნელობას. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასამართლომ გადაწყვიტა, ხელი შეუწყოს და დაიცვას მისი, როგორც აღმზრდელობითი ხასიათის მექანიზმის ფუნქცია, – განაცხადა მარიკაშვილმა.

სასამართლოს უპატივცემლობის ფაქტზე, რაც მოსამართლის შეურაცხყოფით გამოიხატა, ზვიად კუპრავა თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით განუსაზღვრა.

# „ბავშვი სახლში მოდიოდა, როცა სწვდა ყელზე, პირზე ხელი ააფარა და გაუპატიურება ცადა“

სექსუალური ძალადობის მცდელობა იყო გორში.

მამაკაცი 16 წლის გოგონას იმ დროს აედევნა, როცა მოზარდი სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა. 20 წლის ბიჭმა მას პირზე ხელი ააფარა და სექსუალური ძალადობა ცადა. გოგონამ ყვირილი დაიწყო და ის მეზობლებმა გადაარჩინეს. მოძალადე მიიმალა.

არსებული ინფორმაციით, სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული პირი დაკავებულია.

– გაუპატიურების მცდელობა იყო, მოჰკიდა ხელები საჯდომზე, მკერდზე. მოდიოდა ბავშვი სკოლიდან, „ნაუშნიკები“ ეკეთა, ფეხის ხმა არ გაუგია, რადგან „ნაუშნიკები“ ეკეთა. ტელეფონზე საათს დავხედე და უცებ ვიღაც მწვდა უკნიდანო, სახეზე შეეხო, ყელზე ხელი მოუჭირა. ჩემმა დამ ყვირილი რომ დაიწყო, ამ ყვირილზე მეზობელი გამოვიდა, დაიჭირა ის ბიჭი და ცემა. ბავშვი რომ სახლში შემოვიდა და ვკითხე, რა მოხდა-მეთქი, ხმა ვერ ამოიღო, სულ გათეთრებული იყო, – განაცხადა მოზარდის დამ.

ძალადობის მცდელობაში დაკავებული ბიჭი არის ტარიელ ციცაგი, რომელიც გორის რაიონში ცხოვრობს.

ციცაგის ადვოკატი სულ სხვა ვერსიას ყვება.

ის ამბობს, რომ ციცაგი და არასრულწლოვანი მგზავრობდნენ ავტობუსით, როცა მან დაინახა, რომ გოგოს ეკეთა ოქროული, არასრულწლოვანის გაძარცვა გადაწყვიტა.



– ფაქტობრივი გარემოება იყო სულ სხვა, ერთი სამარშრუტო ტაქსით იმგზავრეს, გოგონა უსმენდა ყურსასმენებით მუსიკას და რომ ჩამოვიდნენ, წავიდა გოგონა კორპუსისკენ, ამ ბიჭსაც იგივე გზა ჰქონდა, შეამჩნია, რომ ეკეთა სამკაულები და უნდოდა, წაერთმია, – თქვა დაკავებულის ადვოკატმა.

ტარიელ ციცაგი სამართალდამცველებმა მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# სექსუალური მანიაკი თბილისში

## ვინ არის 23 წლის მამაკაცი, რომელიც გოგონების გაუპატიურებას ცდილობდა

რუსთავი 2 აქვეყნებს ინფორმაციას 23 წლის მამაკაცზე, რომელიც ქალებს თავს ესხმოდა.




კურიერმა დაზარალებულების ჩვენებები მოიპოვა. მოძალადე ერთ-ერთმა დაზარალებულმა ამოიცნო, 23 წლის სპორტსმენი ჯემალ ზოიძე.

ახალგაზრდა ქალი ღამის საათებში სახლში ბრუნდებოდა, როცა უცნობი მამაკაცი ჯერ აედევნა, შემდეგ სადარბაზომდე მიჰყვა და სექსუალური ძალადობა სცადა. ამის შემდეგ რამდენიმეჯერ დაარტყა და ტერიტორიიდან მიიმალა.

შემთხვევიდან მესამე დღეს ჯემალ ზოიძე დაზარალებულს ისევ აედევნა. ამჯერად დღის საათებში. დიდი სტრესის მიუხედავად, ძალადობის მსხვერპლმა დამნაშავის იდენტიფიცირება შეძლო, ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე კი პოლიცია გამოიძახა და მოძალადე ადგილზევე დააკავეს.

მას შემდეგ, რაც დაკავებული პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, გაირკვა, რომ 23 წლის ბიჭი სექსუალური ხასიათის დანაშაულში ერთდროულად რამდენიმე გოგონამ ამხილა.

პირველი ასეთი შეტყობინება განყოფილებაში მაისში შევიდა. ახალგაზრდა ქალმა აღწერა, როგორ ცდილობდა მისთვის უცნობი მამაკაცი სადარბაზოში გაუპატიურებას და თან ფიზიკურად უსწორდებოდა.

– კიბეზე ასვლისას მომესმა ფეხის ხმა. ვიფიქრე, რომ კორპუსის მცხოვრები ამოდიოდა კიბეზე სწრაფი ნაბიჯით და გადავწყვიტე, გამეტარებინა. უეცრად მეცა, მომაწვა სხეულით. ზურგით მიმაბჯინა სადარბაზოს კედელთან. დამიწყო ხელით მოფერება. მაშინვე ხელი ვკარი და ძლიერად დავიყვირე, – აცხადებს ერთ-ერთი დაზარალებული.

– დავიწყე ხმამაღლა ყვირილი, დავიყვირე – „მიშველეთ“, ვეძახდი ჩემს ბებიას. ამ დროს შეწყვიტა შეხება და სირბილით გავიდა სადარბაზოდან. ამ დროს კიბიდან ჩამოირბინა ჩემმა ძმამ, რომელმაც ხმა სახლში გაიგო. იმ დღეს დიდი სტრესის ქვეშ ვიყავი, მეორე დღეს კი გამოვცხადდი პოლიციაში და განვაცხადე მომხდარი ფაქტის შესახებ, – ამბობს მეორე დაზარალებული.

მსგავსი ჩვენება პოლიციას ბევრი ჰქონდა. შედგენილი იყო ფოტორობოტიც, მაგრამ გამოძიება დამნაშავის გამოკვეთას ვერ ახერხებდა. ვიდრე სექსუალურ მოძალადეს ეძებდნენ, დამნაშავე ჯემალ ზოიძე იმ დროს ბავშვებთან მუშაობდა.

როგორც ირკვევა, უკვე წლებია, სპორტსმენია და ერთ-ერთ სპორტკომპლექსში არასრულწლოვნებს ავარჯიშებდა. დაკავებულს მძიმე მუხლით ჩადენილ დანაშაულს ედავებოდნენ, თუმცა ის მკაცრი სასჯელისგან გათავისუფლდა.

პატიმრობაში მყოფი ზოიძე ციხიდან იძულებით მკურნალობაზე გაუშვეს. მას 1 წელში ყველანაირი პასუხისმგებლობა მოხსნილი ექნება. საეჭვოა სამედიცინო დასკვნაც, სადაც დაკავებულს ფსიქიკური აშლილობა დაუდგინდა. უცნობია, როგორ მუშაობდა პირი ბავშვებთან, რომელიც ფსიქიკური პრობლემების გამო სხვადასხვა მსხვერპლზე სისტემატურად, სექსუალურად ძალადობდა.

დაკავებულის ოჯახის წევრებს ამ დანაშაულზე საუბარი უჭირთ. ამ საქმეში რამდენიმე დაზარალებულია. ყველამ პირობა მიიღო, რომ დამნაშავე მკაცრად დაისჯებოდა. მაგრამ სასჯელად მხოლოდ ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებს მიღმა გასატარებელი რამდენიმე თვე განისაზღვრა.

# გოჩა ვეფხვაძე გარდაიცვალა



ლისის ტბაზე სისხლიანი გარჩევის შედეგად დაჭრილი გოჩა ვეფხვაძე რეგიონულ ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

მამაკაცს მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდა. ვეფხვაძეს გულ-მკერდის მარცხენა მხარეს, ასევე ბარძაყის ქვედა კიდურსა და წვივებზე 4 მძიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

41 წლის მამაკაცს ქირურგიული ოპერაცია 3 საათის განმავლობაში უტარდებოდა.

ვეფხვაძეს დაპირისპირება, სავარაუდოდ, ძველ მეგობრებთან მოუვიდა, რომლებთანაც კონფლიქტი წლების განმავლობაში ჰქონდა.

6 ოქტომბერს დაპირისპირება გახოკიძის ქუჩაზე დაიწყო, შემდეგ კი რამდენიმე ავტომობილით მასში მონაწილე პირები ლისის ტბის მიმართულებით წავიდნენ, სადაც ვეფხვაძე, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ავტომობილში დაჭრეს.

## სირია: ქურთებმა თურქეთის წინააღმდეგ დახმარება ასადს სთხოვეს



სირიაში თურქეთის არმიის წინსვლა გრძელდება. ამის გამო სირიელმა ქურთებმა დადეს შეთანხმება როგორც ასადთან, ასევე რუსებთან.

– სხვა გამოსავალი არ გვქონდა, – განაცხადა სირიელი ქურთების ერთ-ერთმა ლიდერმა შეიხ ალ ჰასანმა.

ამასობაში სირიის სამთავრობო ძალებმა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილისკენ გადაადგილება დაიწყეს.

სამთავრობო არმიის დანაყოფი ქალაქში შევიდა, რომელიც თურქეთის საზღვრიდან 50 კილომეტრში მდებარეობს.

სირიის მთავრობა თურქეთის საზღვარზე ჯარებს განალაგებს.

თურქეთმა სირიაში სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო" 9 ოქტომბერს დაიწყო. ანკარა ამტკიცებს, რომ ოპერაციის მიზანი თურქეთის საზღვრებთან „უსაფრთხოების ზონის" მოწყობაა.

როგორც ცნობილია, თურქეთის შეჭრას სირიაში ევროკავშირის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. გერმანიამ თურქეთში იარაღის ექსპორტი შეაჩერა. ასევე მოიქცა საფრანგეთიც.

– იარაღის ექსპორტის შეჩერება არაფერს ნიშნავს. თურქეთს თავად შეუძლია, უკეთესი იარაღი დაამზადოს, – განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ.

მინისტრმა არ დამალა, რომ ევროპის პოზიციით უკმაყოფილოა. მან კვლავ განაცხადა, რომ თურქეთის საზღვართან ტერორისტული დერეფანი იქმნებოდა. სირიაში შეჭრაც თურქეთის უსაფრთხოების დაცვით იყო ნაკარნახევი.

## პაკისტანელი ოთხ წელიწადში 233 სანტიმეტრამდე გაიზარდა



პაკისტანის ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციის ქალაქ მანშეხრაში მიაკვლიეს ანომალიურად მაღალ მამაკაცს, რომლის სიმაღლე 233 სანტიმეტრია.

23 წლის მუჰამად ამინ ტანოლი ამაყობს საკუთარი უნიკალურობით და გარშემომყოფთა განსაკუთრებული ყურადღება ახარებს.

– ხალხი ისე მეპყრობა, თითქოს ცნობილი ადამიანი ვიყო. ისინი უნიკალურად მიმიჩნევენ, – აცხადებს პაკისტანელი, – და მართლაც განსაკუთრებული ვარ. მე რეკორდს დავამყარებ და მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი გავხდები.

16 წლის ასაკამდე მისი სიმაღლე მხოლოდ 1,52 მეტრს შეადგენდა, თუმცა უკვე ოთხი წლის შემდეგ მან სიმაღლეში 41 სანტიმეტრი მოიმატა, ეს იმ დროს, როდესაც მისი მშობლები საშუალო სიმაღლის არიან.

პაკისტანელი ამტკიცებს, რომ მისი ანომალიური კომპლექციის გამო ტანსაცმლის შერჩევა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა უჭირს. ყოველ კვირას მასთან ოჯახები მიდიან თავიანთი ქალიშვილის დასანიშნად, თუმცა თავად დაოჯახებას არ ჩქარობს.

– მე მათ ვუხსნი, რომ ჯერ სამსახურში უნდა მოვეწყო, – ამბობს ის და იქვე ამატებს, – მწამს, რომ მონათესავე სულის მქონე ქალიშვილს თავად ვიპოვი.

ბოლო თვეებში მუჰამადი კიდევ 7,6 სანტიმეტრით გაიზარდა სიმაღლეში.

– ბოლო სამი თვის განმავლობაში საკუთარ ზრდას თვალს ვადევნებდი და ვხედავ, რომ სულ უფრო და უფრო ვიმატებ სიმაღლეში, – აცხადებს პაკისტანელი, – ერთხელაც ცნობილი ადამიანი გავხდები.

გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, პლანეტის ყველაზე მაღალი ადამიანის წოდება 36 წლის თურქ სულტან კესენს ეკუთვნის, რომლის სიმაღლე 251 სანტიმეტრია.

## მღვდელმა შეცდომით მეჯვარეები დააქორწინა



სოციალური ქსელის მომხმარებელმა დაწერა, რომ ღვთისმსახურმა შეცდომით მისი ძმა და პატარძლის მეგობარი დააქორწინა, რომლებიც ქორწილში მეჯვარეები იყვნენ.

მისი ძმა საქორწინო ცერემონიაზე მეჯვარედ იყო და მან და პატარძლის მეჯვარემ ქორწინების რეგისტრაციის საბუთს ხელი ხელისმომკიდეების რანგში მოაწერეს. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ ღვთისმსახურს სახელები აერია და ისინი დაასახელა სიძე-პატარძლად, ხოლო მეჯვარეების ადგილზე ნამდვილი სიძე და პატარძალი ჩაწერა.

– ოფიციალური საბუთი უკვე გაგზავნილია დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების რეესტრში, ასე რომ, ახლა ჩემი ძმა დაქორწინებულია პატარძლის მეჯვარეზე. ეს სრული სიმართლეა, – წერს ინტერნეტ-მომხმარებელი, – ახლა ჩვენ ვცდილობთ, როგორმე საქმე მოვაგვაროთ. ამ ყოველივეს ისიც უნდა დავუმატო, რომ ჩემმა ძმამ ქორწილის წინა დღეს ხელი სთხოვა თავის შეყვარებულს.

## „მიცვალებული" სახლში საკუთარი დასაფლავების შემდეგ დაბრუნდა



ინდონეზიის პროვინცია აღმოსავლეთ იავას მცხოვრები სახლში საკუთარი დასაფლავების შემდეგ დაბრუნდა.

შეცდომა გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევამ, რომელშიც მოტოციკლით მიმავალი მამაკაცი დაიღუპა და რომელსაც თან არანაირი საბუთი არ აღმოაჩნდა. საშინლად დასახიჩრებული ცხედრის ამოცნობა ვერ მოხერხდა და ამის გამო გარდაცვლილის ვინაობა მოტოციკლის წყალობით მოხერხდა. პოლიციამ გაარკვია, რომ ის 40 წლის მშენებელ სუნარტოზე იყო დარეგისტრირებული.

ცხედარი სუნარტოს ოჯახს გადასცეს დასასაფლავებლად.

– ცხედრის გაპატიოსნების დროსაც კი ვერ ითქვა, რომ ეს მისი სხეული არ იყო, – ამტკიცებს გრაბაგანის რაიონის პოლიციის ხელმძღვანელი ალი კანტა.

დასაფლავებიდან შვიდი საათის შემდეგ სუნარტო სახლში დაბრუნდა. მამაკაცის თქმით, მან საკუთარი გარდაცვალების შესახებ სამსახურში თანამშრომლებისგან შეიტყო. მშენებლის განმარტებით, მან სამი თვის წინ ველორიკშა ვარიიმისგან ფული ისესხა და გირაოს სახით თავისი მოტოციკლი დაუტოვა. როგორც ჩანს, სწორედ ის დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.

როდესაც ვარიიმის ნათესავებმა მომხდარის შესახებ შეიტყვეს, გადაწყვიტეს, ნათესავი აღარ გადაესვენებინათ და საფლავზე მხოლოდ სახელის შეცვლით შემოიფარგლნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მარკ ესპერი: „აშშ უკრაინას ეხმარებოდა და მომავალშიც დაეხმარება"



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა „ფოქს ნიუსს" ინტერვიუ მისცა. შეკითხვაზე, ტრამპის გარშემო აზვირთებული სკანდალი უკრაინასთან ურთიერთობებს ზიანს ხომ არ მიაყენებსო, მიუგო:

– აშშ უკრაინას ეხმარებოდა, ეხმარება და მომავალშიც დაეხმარება!

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებდა თავის დროზე ტრამპის გადაწყვეტილებას უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაყინვის შესახებ, ესპერმა მიუგო:

– როცა მე მინისტრი გავხდი, პრეზიდენტმა დამავალა, უკრაინასთან დაკავშირებით ყურადღება გამემახვილებინა სამ საკითხზე: უკრაინული არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება; უკრაინის შიგნით კორუფციასთან ბრძოლის გააქტიურება; რეფორმები უკრაინაში.

ესპერმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ისა და უკრაინის სამხედრო თანამშრომლობა ვაშინგტონის სტრატეგიულ ინტერესებშია. მომავალში ის კიდევ უფრო მჭიდრო გახდება.

## ესპანეთის სასამართლომ პუჩდემონის დაპატიმრების ორდერი გასცა



ესპანეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე პაბლო ლარენამ კატალონიის მთავრობის ყოფილი მეთაურის კარლეს პუჩდემონის დასაპატიმრებლად ორდერი გასცა.

ორდერში აღნიშნულია, რომ პუჩდემონი ეჭვმიტანილია ამბოხის წაქეზებასა და სახელმწიფო ხარჯების გაფლანგვაში 2017 წელს კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით.

პუჩდემონი ესპანეთიდან ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, 2017 წელს, ბელგიაში გაიქცა.

გუშინ, 14 ოქტომბერს, ესპანეთის უმაღლესმა სასამართლომ კატალონიელ სეპარატისტთა 9 ლიდერს 9-დან 13 წლამდე პატიმრობა შეუფარდა. მათ 2017 წელს კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით რეფერენდუმში მონაწილეობა ბრალდებათ.

## პოლონეთის საპარლამენტო არჩევნებს მმართველი პარტია იგებს



13 ოქტომბერს პოლონეთში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.

მმართველმა პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა" ხმების 44% მოიპოვა და პირველ ადგილზე გავიდა. ოპოზიციურმა „სამოქალაქო პლატფორმამ" მხოლოდ 24% მიიღო. ამრიგად, მმართველმა პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა და უმრავლესობასაც დააკომპლექტებს.

„სამართალი და სამართლიანობა" მემარჯვენე-კონსერვატიული და პატრიოტული ორგანიზაციაა. მისი იდეოლოგია ეროვნულ-დემოკრატიულია.

ორგანიზაციისთვის უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს ისეთი ცნებები, როგორებიცაა სამშობლო, ღმერთი, ოჯახი და ა.შ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საქართველო გიბრალტარში არასრული შემადგენლობით ჩავიდა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-7 მატჩს გიბრალტარში გამართავს. ვლადიმირ ვაისის გუნდი ესპანეთის ქალაქ მალაგაში ჩარტერული რეისით გაემგზავრა, შემდეგ კი გიბრალტარში გადაინაცვლა. გიბრალტარში ჩვენი გუნდი 19 ფეხბურთელით იმყოფება.



ირლანდიასთან მიღებული ტრავმის გამო გუნდს თორნიკე ოქრიაშვილი გამოაკლდა, თბილისში გამართულ ბოლო ვარჯიშზე კი საბა ლობჟანიძე დაშავდა. გურამ კაშიამ გიბრალტარში გამგზავრება ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ მოახერხა. ასევე ტრავმის გამო მომდევნო შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვაკო გვილია.

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა 2 ვარჯიში გამართა, აქედან მატჩისწინა – გუშინ, შეხვედრის მასპინძელ სტადიონზე. მატჩი კი დღეს, თბილისის დროით 22:45-ზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრების 19-კაციანი შემადგენლობა გიბრალტარის წინააღმდეგ:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო ბთ);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ);

**თავდამსხმელები:** გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ელგუჯა ლობჯანიძე (თარაზი, ყაზახეთი).

# ცხუმ-აფხაზეთი სუპერთასის მფლობელია

**ცხუმ-აფხაზეთი-ტიტები 72:70**

ლეგენდარული კალათბურთელისა და მწვრთნელის ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი ცხუმ-აფხაზეთმა მოიგო. გუნდმა, რომელიც წინა სეზონში ჩემპიონი დელტას სახელით გახდა, სახელი შეიცვალა.




გასული სეზონის ჩემპიონებმა თასის მფლობელი ტიტები სუპერსათასო მატჩში დაამარცხეს. ზვიად ანთაძის დებიუტი მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული გამოდგა. მისმა გაწვრთნილმა ცხუმ-აფხაზეთმა საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო მატჩში მეტოქეს 72:70 სძლია და სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიტული მოიგო.

მატჩი საკმაოდ დაძაბული, ემოციური და საინტერესო გამოდგა, რომელიც თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მესამე პერიოდში იყო ეპიზოდი, როცა 6 ქულით ჩამორჩენილმა ცხუმ-აფხაზეთმა 14:0 გაქცევა მოაწყო და 8 ქულით გალიდერდა, თუმცა ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილმა ტიტებმა ჩამორჩენა მალევე აღმოფხვრა და თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნდა.

ბოლო პერიოდის დასაწყისში ცხუმ-აფხაზეთი 60:53 იგებდა, თუმცა გუნდური თამაშის წყალობით ტიტებმა დაწინაურება მოახერხა. აარონ კალიქსტეს, ბესო ლეჟავასა და ნიკა მეტრეველის ქულებით გამყრელიძის გუნდი 61:60 გალიდერდა და დარჩენილ 6 წუთში ქულა-ქულაში თამაში გაგრძელდა. გადამწყვეტი გამოდგა ბოლოსწინა წუთები, როცა ვახტანგ გაფრინდაშვილმა, გიორგი შარაბიძემ და კვან უოლერმა მიჯრით სამქულიანები ჩააგდეს, რასაც ამ უკანასკნელის ბონუს-საჯარიმოც მოჰყვა და ცხუმ-აფხაზეთი 4 ქულით – 72:68 დაწინაურდა.

ამის მიუხედავად, ტიტებმა მაინც მოახერხეს შანსის მოპოვება, როცა მეტოქის შეტევა ჩაშალეს, 2-ქულიანი ჩააგდეს და მეტოქის ნახევარზე წამოწყებული პრესინგით ბურთი ისევ მოიპოვეს. დარჩენილ 18 წამში გამყრელიძის გუნდმა რამდენჯერმე მოახერხა შეტევა, თუმცა გამთანაბრებელი სროლა ვერ ჩააგდო. აცილებული ბურთი კვლავ ტიტების ამერიკელმა ლეგიონერმა მოხსნა, თუმცა საფინალო სირენა გაისმა.

მატჩის შემდეგ გაიმართა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. ცხუმ-აფხაზეთის კაპიტან ზუკა მაჩალაძეს სუპერთასი ოთარ ქორქიას შვილმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა და დამსახურებულმა მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ გადასცა.

# ევროპის ჩემპიონატის საგზური პოლონეთმა და რუსეთმაც მოიპოვეს



## C ჯგუფი

**ბელორუსი-ნიდერლანდები 1:2**

**მინსკი. დინამო**

0:1, 0:2 ვეინალდუმი (32, 42), 1:2 დრაგუნი (53)

მატჩის ფავორიტი ნიდერლანდები იყო და ეს სტატუსი გაამართლა კიდეც. როგორც სჩვევიათ, ბურთს აკონტროლებდნენ და 73% პროცენტიც ჰქონდათ. ალბათ უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოეგოთ, მაგრამ მომენტების გამოყენება მხოლოდ ვეინალდუმმა შეძლო, რომელმაც დუბლი მიითვალა და ნიდერლანდების ნაკრები 15 ქულით ჯგუფში გაალიდერა.

**ესტონეთი-გერმანია 0:3**

**ტალინი. ლე ა კოქი**

0:1, 0:2 გუნდოგანი (51, 57), 0:3 ვერნერი (71)

**გაძევება:** ჯანი (14)

გერმანიის ნაკრები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში კაცნაკლული თამაშობდა. მე-14 წუთზე მოედნიდან ბოლო იმედის ჯარიმის გამო ჯანი გააძევეს. მიუხედავად ამისა, სტუმრები კოლოსალურ უპირატესობას ფლობდნენ და დამსახურებულადაც მოიგეს.

დუბლი გუნდოგანმა გაიფორმა, ხოლო ერთი გოლი ვერნერის ანგარიშზეა.

15 ქულით გერმანია მეორე ადგილზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰოლანდია | 6 | 5 | 0 | 1 | 19-7 | 15 |
| 2.გერმანია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-6 | 15 |
| 3.ჩრ.ირლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 8-7 | 12 |
| 4.ბელარუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-12 | 4 |
| 5.ესტონეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 2-21 | 1 |

## E ჯგუფი

**უელსი-ხორვატია 1:1**

**კარდიფი. კარდიფ სიტი**

0:1 ვლასიჩი (9), 1:1 ბეილი (45)

თუ უელსის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა სურდა, ეს მატჩი უნდა მოეგო. მართალია, ვალიელებს ჯერ შანსი არ დაუკარგავთ, მაგრამ შანსები მინიმუმამდე შეიმცირეს.

ხორვატიამ დასაწყისშივე გაიტანა და კომფორტულად გააგრძელა თამაში. მართალია, ტაიმის ბოლოს ბეილმა გაათანაბრა, მაგრამ სულ ეს იყო...

**უნგრეთი-აზერბაიჯანი 1:0**

**ბუდაპეშტი. გრუპამა**

1:0 კორჰუტი (10)

უნგრეთმა საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით მოუგო აზერბაიჯანს და 12 ქულით მე-2 ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა 10 ქულით მესამე ადგილზე მყოფ სლოვაკეთს 1 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხორვატია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-6 | 14 |
| 2.უნგრეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 8-9 | 12 |
| 3.სლოვაკეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| 4.უელსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 5.აზერბაიჯანი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-14 | 1 |

## G ჯგუფი

**პოლონეთი-ჩრ.მაკედონია 2:0**

**ვარშავა. ნაციონალი**

1:0 ფრანკოვსკი (74), 2:0 მილიკი (80)

პოლონეთმა ბოლოსკენ გატეხა ჩრდილომაკედონიელთა წინააღმდეგობა და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მიიღო.

შესვენების შემდეგ ფრანკოვსკიმ და მილიკმა 2 გოლი გაიტანეს და ადგილობრივი გულშემატკივარი გაახარეს.

შეწყდა ლევანდოვსკის შვიდმატჩიანი გოლთა სერია, თუმცა ის ამ მატჩშიც სარგებლიანი იყო და 2 საგოლე პასი მიითვალა.

**სლოვენია-ავსტრია 0:1**

**ლიუბლიანა. სტოჟიცე**

0:1 პოში (21)

**გაძევება:** პოპოვიჩი (89, სლოვენია)

ავსტრიამ სტუმრად 1:0 მოუგო სლოვენიას, 16 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა და დიდი ნაბიჯი გადადგა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. ავსტრიელები უახლოეს მდევარ ჩრდილოეთ მაკედონიას 5 ქულით უსწრებენ და, რთული წარმოსადგენია, ეს უპირატესობა დარჩენილ 2 ტურში გაანიავონ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პოლონეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 13-2 | 19 |
| 2.ავსტრია | 8 | 5 | 1 | 2 | 17-7 | 16 |
| 3.მაკედონია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| 4.სლოვენია | 8 | 3 | 2 | 3 | 13-8 | 11 |
| 5.ისრაელი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-14 | 8 |
| 6.ლატვია | 7 | 0 | 0 | 7 | 1-24 | 0 |

## I ჯგუფი

**ყაზახეთი-ბელგია 0:2**

**ნურსულთანი. ასტანა არენა**

0:1 ბატშუაი (21), 0:2 მენიე (53)

ნურსულთანში ბელგიის ნაკრები დამშვიდებული ჩავიდა, რადგან ევროპის ჩემპიონატის საგზური მოპოვებული ჰქონდა, თუმცა საკუთარ გულშემატკივარს პატივი სცა და ყაზახეთის დედაქალაქშიც იმარჯვა.

**კვიპროსი-რუსეთი 0:5**

**ნიქოზია. ნეო ჯსპ**

0:1 ჩერიშევი (9), 0:2 ოზდოევი (22), 0:3 ძიუბა (79), 0:4 გოლოვინი (89), 0:5 ჩერიშევი (90)

**გაძევება:** ლაიფისი (27)

ბელგიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე რუსებიც შეუერთდნენ. კვიპროსის ეროვნულმა გუნდმა ვერ შეძლო ჩერჩესოვის გუნდისთვის წინააღმდეგობის გაწევა და 0:5 დამარცხდა.

**შოტლანდია-სან მარინო 6:0**

**გლაზგო. ჰემპდენი**

1:0, 2:0, 3:0 მაკგინი (12, 37, 45), 4:0 შანკლანდი (65), 5:0 ფინდლი (67), 6:0 არმსტრონგი (86)

მატჩის ბედი პირველ ტაიმში ერთმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა – მაკგინმა ჰეთ ტრიკი შეასრულა. შესვენების შემდეგ შოტლანდიამ კიდევ 3 გოლი გაიტანა, მაგრამ ეს მოგება დაგვიანებული აღმოჩნდა – სქოთები საგზურის გარეშე დარჩნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბელგია | 8 | 8 | 0 | 0 | 30-1 | 24 |
| 2.რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 27-4 | 21 |
| 3.კვიპროსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-12 | 10 |
| 4.შოტლანდია | 8 | 3 | 0 | 5 | 11-17 | 9 |
| 5.ყაზახეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-13 | 7 |
| 6.სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0-43 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# უზარმაზარმა ნიანგმა ნავი გახვრიტა და მეთევზე მოკლა



ფილიპინების პროვინცია პალავანში ნიანგი თავს დაესხა მეთევზეს და მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

20 წლის ჯუნიკ ჰუსინი და მისი მეგობარი 32 წლის ედგარ ლეგაზპი ხის ძრავიანი ნავით თევზაობიდან ბრუნდებოდნენ.

– როდესაც ეს ყოველივე მოხდა, შებინდებული იყო და წვიმდა, თუმცა ჩვენ ფარნები გვქონდა, – იხსენებს ლეგაზპი, – ნიანგმა წყლიდან პირდაფჩენილმა ამოყვინთა.

ის რამდენიმეჯერ დაეჯახა ნავს, კბილებით ჩააფრინდა მის გვერდს და გადაღრღნა, შემდეგ ჰუსინს მკერდში პირი სტაცა და ნავში გაჩენილი ხვრელიდან გაათრია.

– მე ვერაფრით დავეხმარე, რადგანაც ჩვენი ნავი დაზიანებული იყო, – ამტკიცებს გადარჩენილი მეთევზე.

მან დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას, მაგრამ ცუდი ამინდის გამო სამძებრო-სამაშველო ოპერაციის დაწყება მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა. დილით ადგილობრივებმა მტაცებელს მიაგნეს და დაღუპული მეთევზის გვამი წაართვეს.

# მთვრალმა ვეგეტარიანელმა ქათმის ხორცი შეჭამა და პოლიციაში იჩივლა



ვეგეტარიანელმა გოგონამ მეგობრებს, რომლებმაც მას მოტყუებით შეაჭამეს ქათმის ნაგეთსები, პოლიციაში უჩივლა.

სოციალური ქსელის ანონიმმა მომხმარებელმა დაწერა, რომ ის 24 წლისაა და ხორცს სამი თუ ოთხი წელია, აღარ ეკარება, მას შემდეგ, რაც გაიგო, როგორ მზადდება.

გოგონამ დაწერა, რომ მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა წვეულებაზე და ბევრი ალკოჰოლი მიიღო. მეგობრებმა გადაწყვიტეს, ის გაეთამაშებინათ და მოტყუებით ქათმის ნაგეთსებით გაუმასპინძლდნენ.

მათ გოგონას უთხრეს, რომ ნაგეთსები სპეციალური ვეგეტარიანული ქათმისგან იყო დამზადებული. ინტერნეტმომხმარებელმა აღნიშნა, რომ მას ნაგეთსები მოეწონა, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროს მთვრალი იყო.

მეორე დღეს ვეგეტარიანელს დამ გამოუგზავნა ვიდეო, რომელზეც ამჟამად უკვე ყოფილი მეგობრები მას ნაგეთსების შეფუთვას აჩვენებდნენ და არწმუნებდნენ, რომ ეჭამა, შემდეგ კი დასცინოდნენ იმ რეაქციის გამო, რომელიც გოგონას მას შემდეგ ჰქონდა, რაც გაიგო, რომ ხორცი შეჭამა.

გოგონამ აღნიშნული ვიდეო ტელეფონში შეინახა და პოლიციაში საჩივარი შეიტანა.

# ბრიტანელმა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი ჯეკპოტი მოხსნა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ლატარიის ევრომილიონის გათამაშებაში 170 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

იღბლიანის ვინაობა ამ დრომდე უცნობია. ასევე უცნობია, ბილეთი ერთმა ადამიანმა შეიძინა, ოჯახმა თუ კომპანიამ. ლატარიის მომგებიანი ციფრები აღმოჩნდა: 7, 10, 15, 44 და 49, ხოლო ორი დამატებითი ციფრი იყო 3 და 12.



თუ ლატარიის გამარჯვებული ერთი პირი აღმოჩნდება, მაშინ ის დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში შევა. მას შეუძლია გაამხილოს საკუთარი ვინაობა ან დამალოს და ანონიმურად დარჩეს. ეს მოგება ყველაზე მსხვილ მოგებად ითვლება დიდი ბრიტანეთის მთელ ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ ლატარია ევრომილიონი ხელმისაწვდომია რვა ქვეყანაში: დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ესპანეთში, ავსტრიაში, ლუქსემბურგში, ირლანდიაში, პორტუგალიასა და შვეიცარიაში.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სიკო დოლიძის კინოკომედია; 2. ესპანური დილის სერენადა; 3. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 4. არქტიკის ნორვეგიელი მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. პროგრესის მოწინააღმდეგე ადამიანი; 10. ბრაზილიური არაყი; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 13. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდაზე; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 21. გასართობი, სანახაობითი დაწესებულება; 23. იაპონელი მოდელიერი.

**თარაზულად:** 6. გამოქვაბულში მცხოვრები პირველყოფილი ადამიანი; 7. სპარსული ლეგენდების, თქმულებების, მითების კრებული; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული შავი ფერის ფისიანი ქვანახშირი; 9. ჩინური ნავთობკომპანია; 14. ირლანდიური ჯინი; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი; 20. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 22. საფრანგეთის პრეზიდენტი; 24. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 25. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 26. ქსოვილების, ფართლეულის ვაჭრის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. პარაბოლა; 8. მაკეტი; 9. კლისტრონი; 11. ასმერა; 12. კარეტა; 14. ნაიადა; 15. რარიტეტი; 20. სოფელი; 22. პიკნიკი; 23. მერი; 24. ინტერიმი; 25. სუმო; 26. არგონი; 27. პინია.

**შვეულად:** 1. კარტი; 2. ფლეიტა; 4. ბუკლეტი; 5. ტაროსი; 6. ქარავანი; 7. მიგრანტი; 10. კრედო; 12. კლიროსი; 13. კრიზისი; 16. ლივრეა; 17. ანშლაგი; 18. ბიზონი; 19. ნეგუსი; 21. ფანტა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პოლიფონია; 2. ოსარა; 3. ოსიპ; 4. ოფი; 5. ანო; 6. „ამოკი"; 7. კონცხი; 8. დისკო; 9. „მინდია"; 10. ატაშე; 11. ანესთეზია; 12. ნოკდაუნი; 13. დრედნოუტი; 14. შასლა; 15. ვენა; 16. სიკოკუ; 17. კია; 18. „შვიდკაცა"; 19. ისპანახი; 20. ევრო; 21. ჰარპუნი; 22. ღორჯო; 23. ჰესე; 24. „სილვა"; 25. ოქმი; 26. ქართუ; 27. ბაირაღი; 28. ალ; 29. ხან; 30. ოზი; 31. თხა; 32. სილიკოზი.

**სურათებზე:** ჯანეტ ჯექსონი; იური ჯორკაეფი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


15 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9701

ევრო — 3.2778

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7328

100 რუსული რუბლი — 4.6307

## ამინდის პროგნოზი 15 ოქტომბერი








## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

## ქართული საბრძოლო ხელოვნება

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი




## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

## ბაზალეთისა ტბის ძირას

წიგნი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ვახტანგ კახიძე ლა სკალას სცენაზე საკუთარი ნაწარმოებით წარდგება



დირიჟორი ვახტანგ კახიძე მილანში, ლა სკალას ოპერის თეატრის სცენაზე საკუთარი ნაწარმოებით წარდგება.

ლა სკალას თეატრის კამერული ორკესტრი მეორედ შეასრულებს, ვახტანგ კახიძის ნაწარმოებს ალტის, ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, რომელიც 1996 წელს შეიქმნა და დღემდე წარმატებით სრულდება მსოფლიოს წამყვან სცენებზე.

წელს ფესტივალში „შემოდგომის თბილისი" ლა სკალას კამერულმა ორკესტრმა დიდი წარმატებით შეასრულა აღნიშნული ნაწარმოები.

ლა სკალაში გამართულ კონცერტს უდირიჟორებს სერგეი სმბატიანი, მაესტრო ვახტანგ კახიძე კი ლა სკალას კამერულ ორკესტრთან და სოლისტ სიმონიდე ბრაკონისთან ერთად, პიანისტის ამპლუაში წარდგება იტალიელი მსმენელის წინაშე.

## ნინო გულიაშვილი: „არ მიიყვანოთ ბავშვი „ბასტი ბუბუში". იქ მანქურთებს ზრდიან!"

„არ მიიყვანოთ ბავშვი „ბასტი ბუბუში". იქ მანქურთებს ზრდიან!" — ირწმუნება ნინო გულიაშვილი და ამის დასტურად „ბასტი ბუბუს" ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემა მოჰყავს:

— თითქოსდა არცთუ მნიშვნელოვანია, რამაც ძალზე გამაღიზიანა: საქმე ეხება საბავშვო გადაცემას „ბასტი ბუბუ".

პაწიებს ეკითხებიან, თუ სად ისურვებდნენ ცხოვრებას და პატარები პასუხობენ: „მე მინდა ვიცხოვრო საფრანგეთში; მე — ამერიკაში; მე — ინგლისში და ა.შ. ერთ ბავშვს არ გამოუთქვამს სურვილი, ეცხოვრა საქართველოში.

ეს ხომ პატარების აზრები არ არის, ამას ხომ უფროსები უნერგავენ, ეს ხომ ერთგვარი პროპაგანდაა ასაკის დონეზე? ეს ხომ ბავშვის მენტალობაზე აისახება ადრე თუ გვიან?

ვეკითხები ამ გადაცემის მესვეურებს: აღარ გინდათ ეს ქვეყანა? უცხო ქვეყნებს უზრდით მოქალაქეებს? პატრონი არ გყავთ? მშობლებო, არ მიიყვანოთ ბავშვი „ბასტი ბუბუში". იქ მანქურთებს ზრდიან!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 15 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — სიმტკიცე და პრინციპულობა დღის დევიზია. ენერგია ბევრი რამისთვის გყოფნით, თუმცა საკუთარი ინტერესების დათმობა მოგიწევთ. **კურო** — დღე აღსავსეა სასიამოვნო მოულოდნელობებით, სიურპრიზებით. ემოციები მოთოკეთ და თავს დასვენების უფლება მიეცით. **ტყუპები** — თქვენში ორგანიზატორული ნიჭი იღვიძებს. ხელმძღვანელობა თამამად განდობთ საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეებს. **კირჩხიბი** — ნურაფერს დაგეგმავთ. ნებისმიერი წამოწყება კრახისთვის არის განწირული. აჩქარება არ ივარგებს. **ლომი** — შანსი გეძლევათ, დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. თუნდაც ვარსკვლავები არ გწყალობდნენ, საკუთარ თავში მაინც აღმოაჩენთ რესურსს, საჭირო დროს საჭირო საქმე აკეთოთ.**ქალწული** — ფინანსები აკონტროლეთ. თანხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება წარმატებით დამთავრდება.**სასწორი** — ბრმად ნურავის მიენდობით, არც ინტუიციას დაეყრდნოთ. იმოქმედეთ პრაგმატულად და მოვლენები რეალურად შეაფასეთ. **ღრიანკალი** — ძალზე ემოციური დღეა. ეცადეთ, წონასწორობა შეინარჩუნოთ. ანგარიში გაუწიეთ გარშემომყოფთა განწყობასაც. **მშვილდოსანი** — ნურავის მიენდობით. ნებსით თუ უნებლიეთ, ახლობლები და უბრალო ნაცნობები გიღალატებენ და გულს გატკენენ. ჭორებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** — საკუთარ თავსაც და გარშემომყოფებსაც მრავალ მოთხოვნას უყენებთ. გსურთ, ყველაფერი აკონტროლოთ. იმედი გიცრუვდებათ. **მერწყული** — შესანიშნავი დღეა. ნებისმიერ საქმეში ძალიან გიმართლებთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **თევზები** — იფრთხილეთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ, რადგან მისი გამოსწორება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

შვილი დედას ეკითხება:

— დედიკო, ანგელოზები დაფრინავენ?

— დაფრინავენ, შვილო, დაფრინავენ.

— აბა, გუშინ მამამ ჩვენს მოსამსახურე ნინის რომ უთხრა, ანგელოზოო და ის არ გაფრენილა?

— ხვალ დილით გაფრინდება, შვილო, ხვალ დილით!!!

●●●

ნათესავი მამაკაცს ეკითხება:

— შენი სიდედრი ამ ერთ თვეში უკვე მესამედ რატომ მოიწამლა სოკოთი?

— ეს სკლეროზის ბრალია, ჩემთვის ამზადებს, მაგრამ შემდეგ ავიწყდება და თავად ჭამს.

●●●

ორი მეგობარი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

— რით განსხვავდება ახალგაზრდა სპეციალისტი გამოცდილისგან?

— ახალგაზრდამ მუშაობა არ იცის, ხოლო გამოცდილმა იცის, როგორ არ იმუშაოს.

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

— გარეული იხვი გაქვთ?

— შინაური რომ გადავრიოთ, არ წავა?

●●●

სექსოპათოლოგს მამაკაცი ეკითხება:

— ექიმო, რატომ არის, რომ როდესაც მე და ჩემი ცოლი სექსით ვართ დაკავებული, ხან მცხელა და ხან მცივა?

— გასაკვირია. მოდი, თქვენს მეუღლეს მოვუსმინოთ, რას გვეტყვის ამაზე.

ცოლი ექიმს ეუბნება:

— რა არის ამაში გასაკვირი, ერთხელ იანვარში, ერთხელაც — ივლისში.

●●●

მამაკაცი ქალს ეკითხება:

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენი წლის ხართ?

— 34-ის.

— მართლა? არადა, ასი წლის მეგონეთ!!!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ედისონ კავანი, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედში გადავიდეს



პსჟ-ს ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი, სავარაუდოდ, ზამთარში გუნდს დატოვებს, რადგან ის არ არის მუდმივად ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი.

კავანის შეძენა საკმაოდ ბევრ გუნდს სურს და მათ შორის არის მანჩესტერ იუნაიტედიც, რომელსაც ფორვარდის პრობლემა აქვს.

კავანის პსჟ 50 მილიონ დოლარად აფასებს და ამ თანხის გადახდა მანჩესტერისთვის პრობლემა არ იქნება.

რაც შეეხება თვითონ ურუგვაელ ფორვარდს, ის ჯერჯერობით თავის მომავალზე კომენტარს არ აკეთებს და ზამთარს ელოდება.

## ბაიერნს მიულერის გაშვება არ სურს



მიუნხენის ბაიერნს ტომას მიულერის გაშვება არ სურს, რადგან ეს ფეხბურთელი მისი ლეგენდაა.

ამის შესახებ კარლ ჰაინც რუმენიგემ ისაუბრა და თქვა, რომ მიულერი სხვა გუნდის მაისურით ვერ წარმოუდგენია:

— ტომასი ბაიერნის განუყოფელი ნაწილია და არ მესმის, სად უნდა წავიდეს. ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, რომ მიულერმა სხვა გუნდში ითამაშოს. იმედია, ეს არ მოხდება.

ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მიულერი ბაიერნში უკმაყოფილოა თავისი სათამაშო დროით და წასვლას აპირებს.

## ფრანკ რიბერი: „ფიორენტინაში ძალიან ბედნიერი ვარ"



ფიორენტინას ახალწვეულმა ფრანკ რიბერიმ განაცხადა, რომ ახალ გუნდში ძალიან ბედნიერია და სურს, კარიერა ფიორენტინაში დაასრულოს.

რიბერის თქმით, მას ჰქონდა სხვა ვარიანტებიც, მაგრამ იგრძნო, რომ ფიორენტინაში უნდა წასულიყო:

— ვფიქრობდი, სად გამეგრძელებინა კარიერა და ამ დროს ფიორენტინას პრეზიდენტს შევხვდი. შეხვედრის მერე უკვე ეჭვები აღარ მქონდა, სად უნდა წავსულიყავი. აქ ყველამ ძალიან კარგად მიმიღო და ბედნიერი ვარ.

რიბერიმ უკვე მოახერხა თავის ახალ გუნდში რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლის გატანა.

## პსჟ მოდრიჩს არ ეშვება



პსჟ კვლავინდებურად დაინტერესებულია მადრიდის რეალის ნახევარმცველ ლუკა მოდრიჩის შეძენით და მზად არის, ამ ფეხბურთელში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

გარდა ამისა, პარიზული გუნდი მოდრიჩს გაორმაგებულ ანაზღაურებას შესთავაზებს. მოდრიჩი ზაფხულში ახლოს იყო იმასთან, რომ ინტერის ფეხბურთელი გამხდარიყო, მაგრამ ეს ტრანსფერი ჩაიშალა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## მამაკაცმა შვილი დათვისგან სროლით გადაარჩინა

აშშ-ში მამამ სროლით შეაშინა დათვი, რომელიც მის შვილს თავს დაესხა და დაღუპვისგან იხსნა.



ინციდენტი ალასკის შტატის ქალაქ ჰეინსის მახლობლად მოხდა. 55 წლის სკოტ ბრედფორდი და მისი 21 წლის შვილი, კეისი, მდინარე ჩილკატის მახლობლად ცხენირემზე ნადირობიდან თავიანთ ნავთან ბრუნდებოდნენ. ამ დროს ბუჩქნარიდან მურა დათვი გამოვარდა, ახალგაზრდას უკნიდან თავს დაესხა და ხელსა და ფეხზე უკბინა.

ამ დროს მამა შვილისგან დაახლოებით 30 მეტრში იმყოფებოდა. ყვირილის გაგონებაზე მან ჯერ იფიქრა, რომ ბუჩქნარიდან ცხენირემი გამოვარდა. მან აგრესიული ცხოველის თავს ზევით გაისროლა. დათვს შეეშინდა, კეისის თავი დაანება და გაიქცა. სკოტმა მას უკვე დამიზნებით ესროლა, თუმცა უცნობია, მოხვდა თუ არა მისი ნასროლი ტყვია გაქცეულ ცხოველს.

მონადირეებმა ავტომობილამდე მიაღწიეს და უახლოეს საავადმყოფომდე 40 კილომეტრი გაიარეს, იქიდან კი დაშავებული უფრო დიდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, ახალგაზრდის ტრავმები მისი სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი არ ყოფილა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისათვის; 8. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 14. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. კანიონი ხონის რაიონში.

**თარაზულად:** 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისგან შხამქიმიკატების შეფრქვევით; 6. აზრის არაპირდაპირი, იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. ნაწყვეტი რომანიდან, კინოფილმიდან; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 13. უნგრული ღვინო; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 18. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 19. საფრანგეთის საიდუმლო პოლიცია; 20. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

